პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТО
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
22 ოქტომბერი
1940 წ.
№ 246 (5947)
ფასი 10 კაპ.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება

უკანასკნელ თვეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი ბრძანებულებანი, რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, სოციალისტური სახელმწიფოს ძალთა განმტკიცებისათვის. ასეთია 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედვნენ საწარმოებსა და დაწესებულებებში რკინის სოციალისტური დისციპლინის დამყარებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის გამოშვების ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. ასეთია ისტორიული ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ, რომელიც გაჟღენთილია სოციალისტური ინდუსტრიის არსებითი საჭიროებებისა და ხვალინდელ დღეზე, მის აყვავებაზე, სსრ კავშირის მუშათა კლასის შემდგომ ზრდაზე და მისი რიგების შევსებაზე პარტიისა და მთავრობის სტალინური ზრუნვით.

საბჭოთა სახელმწიფოს და მისი სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი განმტკიცების, მრეწველობის განვითარებისა და მისი კადრებით უზრუნველყოფის იმავე იდეით არის გაჟღენთილი „პრავდის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 19 ოქტომბრის ბრძანებულება „ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ოსტატთა, მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ“.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება გრანდიოზული ახალი მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალური დაბანდებანი მესამე ხუთწლედში სჭარბობენ პირველ და მეორე ხუთწლედში ერთად აღებულ კაპიტალურ დაბანდებათა ჯამს. შენდება და მოქმედთა რიგებში დგება შავი და ფერადი მეტალურგიის ახალი გიგანტები, შახტები, ელექტროსადგურები, მრეწველობის სხვადასხვა დარგების საწარმოები, რკინიგზები. ისინი საჭიროებენ კვალიფიციურ კადრებს. ასეთსავე კადრებს საჭიროებენ მრავალი საწარმონი, რომლებიც გადადიან პროდუქციის ახალი სახეების წარმოებაზე. რომ თავის დროზე ამუშავდეს და სწრაფად ათვისებულ იქნას ახალი საწარმოების ტექნიკა, რომ დაჩქარდეს პროდუქციის ახალი სახეების ათვისების საქმე, საჭიროა ცალკეულ საწარმოთა შორის სწორად განაწილებულ იქნან ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები, მოსამსახურეები, კვალიფიციური მუშები. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ, რომ საწარმოებიდან, რომლებსაც ჭარბად ჰყავთ კვალიფიციური კადრები, მუშაკები გადაყვანილ იქნან იმ საწარმოებში, სადაც მათს ნაკლებობას განიცდიან.

საკმაოა მოვიყვანოთ ერთი ასეთი მაგალითი. ტაგილში ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულია უდიდესი სავაგონთმშენებლო ქარხანა — „ურალვაგონსტროი“. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ ქარხანაში არ მოხერხდა ტექნიკის საჭიროებისამებრ ათვისება და გეგმის შესრულება. ამ ქარხნის მარტენის საამქრო დავალებას მხოლოდ სანახევროდ ასრულებს. საამქროებში დიდია წუნი. ურალვაგონქარხნის ჩამორჩენის ერთერთ სერიოზულ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ იგი არ არის დაკომპლექტებული კვალიფიციური კადრებით. ინჟინრებითა და ტექნიკოსებით ამ საწარმოს უზრუნველყოფა ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე, ვსთქვათ, მოსკოვის ქარხნებისა. იქ არ ჰყოფნით ოსტატები, არ ჰყოფნით კვალიფიციური მუშები. ასეთსავე მდგომარეობაშია მთელი რიგი სხვა საწარმოები, განსაკუთრებით ციმბირში, აღმოსავლეთში.

ამავე დროს ბევრ საწარმოში, განსაკუთრებით ცენტრალურ სამრეწველო რაიონებსა და ქალაქებში, უწინარეს ყოვლისა, ისეთებში, როგორიც მოსკოვი, ლენინგრადი, გვაქვს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების სიჭარბე. 8-საათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან კვირაზე გადასვლა საშუალებას იძლევა აგრეთვე განთავისუფლებულ იქნას კვალიფიციური მუშაკის ნაწილი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ორგანიზებულად გადაყვანილ იქნან იმ საწარმოებში, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიციურ კადრებს.

სოციალისტური მრეწველობის განვითარებას თან ახლავს სამრეწველო საწარმოების ახალი განლაგება ჩვენს ქვეყანაში. იქმნება ახალი სამრეწველო რაიონები. ეს აგრეთვე ითვალისწინებს კვალიფიციური მუშახელის სათანადო განაწილებას, მის ხელახალ განაწილებას სამრეწველო რაიონებსა და საწარმოებს შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამდე, როდესაც მრეწველობაში არსებობდა უდიდესი დენადობა, ახალი საწარმოები მუშახელის ნაწილს თვითდინებით იღებდნენ. ესენი მეტწილად არ იყვნენ სტაბილური კადრები, ვინაიდან ბევრი მუშა და მოსამსახურე სხვა საწარმოებში გადადიოდა. მაგრამ მუშაკების განსაზღვრული ნაწილი მაინც რჩებოდა. ახლა, როდესაც დენადობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს, როდესაც საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშებისა და მოსამსახურეების თვითნებურად წასვლა აკრძალულია, თვითდინების საფუძველზე ახალი საწარმოების დაკომპლექტების იმედი არ გამოგვადგება. ფაბრიკებსა და ქარხნებში ამჟამად უმთავრესად მოდიან ის პირები, რომლებიც პირველად შედიან საწარმოებში, — კოლმეურნეები, ქალაქის ახალგაზრდობა, დიასახლისები, რომელთაც არა აქვთ კვალიფიკაცია. მაშასადამე, ახალ საწარმოებში, და იმ საწარმოებში, რომლებიც ეუფლებიან ახალ პროდუქციას, **ორგანიზებულად** უნდა გავგზავნოთ კვალიფიციური მუშები.

ასობით და ათასობით მოწინავე ინჟინერი, ტექნიკოსი, ოსტატი ენტუზიაზმით მიდის ახალ მშენებლობებზე, ახალ ეკონომიურ რაიონებში. მაგრამ იქ მაინც საგრძნობია ინჟინერ-ტექნიკური კადრების მწვავე ნაკლებობა. სახელმწიფოს ამიერიდან არ შეუძლია ასეთი მდგომარეობის მოთმენა და იგი იღებს **ზომებს** ინჟინრებისა და ტექნიკოსების **ორგანიზებულად** გადაყვანისათვის ერთი საწარმოებიდან და დაწესებულებიდან მეორეში, იქ, სადაც უკიდურეს საჭიროებას განიცდიან.

დღემდე სახალხო კომისარიატები ვერ ახერხებდნენ ინჟინრებისა, მოსამსახურეებისა და კვალიფიციური მუშების საჭირო რაოდენობით გადაყვანას ერთი საწარმოდან მეორეში. მუშაკთა ნაწილი, ანგარიშს არ უწევდა რა სახელმწიფოს ინტერესებს, უარს აცხადებდა გადაყვანაზე. მოსამსახურეებისა და სპეციალისტების ნაწილი, რომლებიც შემცირებულნი არიან მოსკოვის ცენტრალური აპარატებიდან, ნაცვლად იმისა, რომ გაემგზავრონ პერიფერიაში, სადაც მათ შეეძლოთ დიდი სარგებლობის მოტანა ჩვენი ქვეყნისათვის, ცდილობენ დარჩნენ ძველ ადგილზე. „არსებული მდგომარეობა, — ნათქვამია გუშინ გამოქვეყნებულ ბრძანებულებაში, — რომლის დროსაც სახალხო კომისარიატებს არა აქვთ უფლება სავალდებულო წესით გაგზავნონ ინჟინრები, მოსამსახურეები და კვალიფიციური მუშები ერთი საწარმოდან მეორეში, ხელს უშლის სახალხო მეურნეობის განვითარებას“. ახლა მთავრობამ ეს დაბრკოლება მოიშორა.

სსრ კავშირის სახალხო კომისრებს მიენიჭათ უფლება სავალდებულო წესით გადაიყვანონ ინჟინრები, კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, ოსტატები, მხაზველები, ბუხჰალტრები, ეკონომისტები, საანგარიშო-საფინანსო და საგეგმო დარგის მუშაკები, აგრეთვე კვალიფიციური მუშები, დაწყებული მეექვსე თანრიგიდან და ზევით, ერთი საწარმოდან ან დაწესებულებიდან მეორეში, საწარმოთა და დაწესებულებათა ტერიტორიული მდებარეობის მიუხედავად. ამას მოითხოვენ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები, სახალხო მეურნეობის ინტერესები.

ბრძანებულება მოითხოვს, რომ ინჟინრები, მოსამსახურეები და კვალიფიციური მუშები, რომლებიც სავალდებულო წესით გადაჰყავთ სამუშაოდ სხვა ადგილებში, არ განიცდიდნენ რაიმე მატერიალურ ზარალს. მთავრობა ამ მუშაკებისათვის ჰქმნის განსაკუთრებით ხელსაყრელ მატერიალურ პირობებს. მათ და მათი ოჯახის წევრებს აუნაზღაურებენ ახალ სამუშაო ადგილამდე საგზაო ხარჯს, ქონების გადატანის ღირებულებას, აძლევენ დღიურებს, დამატებითი ხელფასს და ერთდროულ დახმარებას. იმავე ადგილის ფარგლებში ერთი საწარმოდან მეორეში გადაყვანილებს შეენახებათ საწარმოო განუწყვეტელი შრომის სტაჟი, ხოლო სხვა ადგილებში გადაყვანილთ დამატებით მიემატებათ შრომის სტაჟის ერთი წელი. კანონი საწარმოთა დირექტორებს და დაწესებულებათა უფროსებს ავალდებულებს საწარმოდან და დაწესებულებიდან წასვლის ნებართვა მისცენ იმ მუშების ცოლებს, რომლებიც სხვა ადგილას გადაჰყავთ სავალდებულო წესით.

მრავალ ახალ მშენებლობაზე, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რაიონებში, სპეციალისტების, მოსამსახურეებისა და კვალიფიციური მუშების ნაწილი მუშაობს მოკლე ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით. ინჟინერი ან მუშა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად ქარხანაში ერთი-ორი წლით მივიდა, ხშირად იქ თავს გრძნობს დროებით სტუმრად. კუზბასის შახტებში ასეთ ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ოდესღაც უწოდებდნენ „საჩემოდანო განწყობილების“ ადამიანებს. იმ მუშაკების შესახებ, რომლებსაც მალე გამგზავრების მოლოდინში, ნაკლებად აწუხებდათ საწარმოს ბედი, მაღაროელები ზიზღით ამბობდნენ: „ეს კაცი ჩემოდანზე ზის...“

თანამედროვე ქარხნის, შახტის ნორმალური მუშაობა კი მოითხოვს მუდმივ კვალიფიციურ კადრებს, და არა გასტროლიორებს. საჭიროა მუდმივი კადრები, რომლებიც აუმჯობესებენ თავიანთ ცოდნას, რომლებიც კარგად იცნობენ იმ საწარმოს, სადაც ისინი მუშაობენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გუშინდელი დღიდან გააუქმა სახალხო კომისარიატებისა და საწარმოების მიერ ვადით დადებული ხელშეკრულებანი, და სახალხო კომისრებს ნება დართო დასტოვონ ინჟინრები, მოსამსახურეები და კვალიფიციური მუშები, რომლებზედაც ვრცელდება ბრძანებულება, იმ საწარმოებში, სადაც ისინი ხელშეკრულების მიხედვით მუშაობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 19 ოქტომბრის ბრძანებულების პატიოსნად და ზუსტად შესრულება ხელს შეუწყობს შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, საშუალებას მოგვცემს სწორად გამოვიყენოთ არსებული კვალიფიციური კადრები სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების, ჩვენი სამშობლოს ინტერესების შესაბამისად.

„პრავდის“ მოწინავე, 21/X.

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადის გახსნა

ოპერა „ენხე-ბულატ-ბატორის“ დიდი წარმატება

20 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადა, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. სსრ კავშირის დიდი თეატრის ფილიალში დეკადის გახსნაზე მაყურებლებთა შორის მოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სახალხო კომისრები, საბჭოთა კავშირის გმირები, მოსკოვის საწარმოთა დამკვრელები, ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები.

ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიულმა თეატრმა დეკადა დაიწყო პირველი ნაციონალური ოპერის „ენხე-ბულატ-ბატორის“ („ენხე-ფოლადის დევგმირი“) ჩვენებით. ამ ოპერის ავტორები არიან დრამატურგი ნამჟილ ბალდანო და კომპოზიტორი პროფესორი მ. პ. ფროლოვი. ამ ნაწარმოების საფუძვლად გახდა საუცხოო ძველებური ლეგენდა ხალხურ დევგმირ შონობატორზე. ბურიატ-მონღოლური ეპოსის ამ გმირის საუკეთესო თვისებები — უშიშროება, თავისი ხალხის სიყვარული, მტერზე გამარჯვებისაკენ მისწრაფება — განსახიერებულია დევგმირი ენხეს სახით. ახალგაზრდა შემოქმედებითმა კოლექტივმა გმირული ოპერის დადგმით (დადგმა ი. მ. თუმანოვისა) ბრწყინვალე სპექტაკლი შექმნა.

ოპერა „ენხე-ბულატ-ბატორი“ დიდი წარმატებით სარგებლობდა. მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ სპექტაკლის ყველა მონაწილეს, რომლებმაც სერიოზული შემოქმედებითი წარმატება მოიპოვეს.

ხაკასეთის 10 წლისთავის დღესასწაული

აბაკანი, 20 ოქტომბერი (საკდესი). უიბატის თვალუწვდენელი ველების კოლმეურნეები, ტაშტიპის ტაიგის მონადირეები, ჩქარი აბაკანის ხე-ტყის დამცურებლები, ჩერნოგორსკის მაღაროელები, ოქროს სამადნოების მაღაროელები ზეიმით დღესასწაულობენ ხაკასეთის ავტონომიური ოლქის 10 წლისთავს. ხალხმრავალ კრებებზე ხაკასეთის მშრომელებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

19 ოქტომბერს შესდგა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საიუბილეო სესია. დღესასწაულზე ჩამოვიდნენ სტუმრები ოლქის რაიონებიდან, კრასნოიარსკის მხარიდან, ტუვის სახალხო რესპუბლიკიდან, ოიროტიიდან.

სესიამ მისალმება გაუგზავნა: პარტიის ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ სტალინს, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებს—ამხანაგებს კალინინსა და ბადაევს, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოებს—ამხანაგებს მოლოტოვსა და ხოხლოვს. 20 ოქტომბერს ქალაქში შესდგა სადღესასწაულო მიტინგი. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა მშრომელმა.

ფართოდ განვავითაროთ სამრეწველო მეხილეობა და მევენახეობა ქართლის რაიონებში

ქართლის რაიონების აყვავებისათვის

გორი, 21 ოქტომბერი („კომუნისტის“ კორ.). განახლებული ქართლის გულში—გორში განუზომელი სიხარულია. რაიონის მშრომელები უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობისა და სტალინური ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“.

20 ოქტომბრის გაზეთები, რომლებშიაც მოთავსებულია ქართლის რაიონების შემდგომი განვითარებისა და გაფურჩქვნის სტალინური პროგრამა, ხელიდან ხელში გადადის. ტირიფონის ველზე მდებარე დიდი ბერშუეთის, ქვემო ახალსოფლის, შავშვების, ნაწრეტის, პატარა ბერშუეთის, რეხის და სხვა კოლმეურნეობებში აგიტატორები და წამკითხველმესაუბრეები დადგენილების მიღებისთანავე შეუდგნენ ამ ისტორიული დოკუმენტის პოპულარიზაციას მოსახლეობაში.

საშემოდგომო სამუშაოებზე მინდვრად გასულ საკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში, სოფლის კლუბ-სამკითხველოებში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი კოლმეურნეები ახლა მხოლოდ პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებაზე მსჯელობენ და ურთიერთს უზიარებენ თავიანთ სიხარულს.

— გაივლის ხუთიოდე წელი,— სთქვა სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარემ ამხ. ჯანიზაშვილმა, — და სტალინის მშობლიური ქალაქი გორი სახეს შეიცვლის. გორის რაიონის სოფლები საკოლმეურნეო დოვლათის სიუხვით აივსებიან, კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდებიან. ჩვენი ოცნება ასრულდება: ტირიფონის მძლავრი ელსადგურის აგებით საკოლმეურნეო ოჯახებს ელექტრონი გაანათებს; ტირიფონის ზონის სოფლები სასმელ წყალს მიიღებენ; გაშენდება ხეხილისა და ვენახის ახალი ათასეული ჰექტარები. ჩვენ, ბელადის სამშობლო რაიონის კოლმეურნეები, არ დავზოგავთ ძალღონეს, რათა მთლიანად გამოვიყენოთ ქართლის რაიონების ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები და 15 ოქტომბრის დადგენილება ურყევად განვახორციელოთ.

ეს ლიტონი სიტყვები როდია. თვით კოლმეურნეობა „განთიადმა“ ორჯერ მიიღო მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. ახლა განთიადელები მუშაობას იწყებენ სოფლის ახლო მდებარე ჭაობის დასაშრობად. ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ უკანასკნელ სამ წელს ხეხილის ნარგავი 96 პროცენტით გაახარა. კოლმეურნეობა „ბალბოსტანმა“ წელს თვითეულ ჰექტარზე 136,5 ცენტნერი კურკოვანი ხეხილი მიიღო.

ზემოხსენებული დადგენილების გასაცნობად მიმდინარეობს კოლმეურნეთა მრავალრიცხოვანი საერთო კრებები.

აღფრთოვანებით შეხვდნენ

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას თბილისის რაიონის კოლმეურნეობებში აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ავჭალის ბერიას სახელობის, დიღომის ლენინის სახელობის, გლდანის ფრუნზეს სახელობის, სოღანლუღის მახარაძის სახელობის და სხვ. კოლმეურნეობებში აგიტატორები შეუდგნენ პარტიისა და მთავრობის აღნიშნული დადგენილების წაკითხვასა და საფუძვლიან გაცნობას ბრიგადებში.

ამ დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე თ. ვარდანაშვილი) აიღო ვალდებულება ვადამდე 3 დღით ადრე დაამთავროს საშემოდგომო თესვა. 1 ნოემბრამდე დაამთავროს მეფრინველეობის ფერმისა და ქოხ-ლაბორატორიის მოწყობა, ვადაზე ადრე შეასრულოს ხეხილისა და ვენახის გაშენების გეგმები.

დიღომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. მარიამული) იკისრა ვალდებულება საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები 7 ნოებრამდე შეასრულოს.

სოღანლუღის მახარაძის სახ. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. ზაქარაია) აიღო ვალდებულება 1 ნოემბრამდე დაამთავროს პირუტყვის სადგომების რემონტი, უზრუნველჰყოს პირუტყვის სანიმუშო გამოზამთრება და ვადაზე ხარისხოვნად შეასრულოს ხეხილის გაშენების გეგმა, აგრეთვე უმოკლეს ხანში დაამთავროს სოღანლუღის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე გეგმით გათვალისწინებული მიწის სამუშაოები.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ მიმდინარე წელს ხეხილის ახალი ბაღები გააშენონ 2000 ჰექტარზე, რაც თითქმის 10-ჯერ აღემატება გეგმით გათვალისწინებულ ფართობს.

კოლმეურნეობათა აღორძინების პროგრამა

(მცხეთა, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში უსაზღვრო სიხარული გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ.

სოფ. ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვით გამოსულმა მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. გ. სურამელაშვილმა განაცხადა:

— სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ეს ისტორიული დადგენილება ქართლის რაიონის კოლმეურნეთა აღორძინების უდიდესი პროგრამაა. მევენახეობის განვითარებისათვის ჩვენს კოლმეურნეობაში ყველა შესაძლებლობა გვაქვს.

ძეგვის კოლმეურნეთა კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ელენე და იაკობ სოლოღაშვილები და ოლია ფირანაშვილი. მათ განაცხადეს, რომ გააათკეცებენ მუშაობას იმისათვის, რომ კოლმეურნეობაში ფართოდ განავითარონ მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა და მესაქონლეობა. კოლმეურნეთა საერთო კრებამ გადასწყვიტა წელს გაწმინდოს ასი ჰექტარი მიწის ფართობი, მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის თუთის ხე გააშენონ გზის პირას ორი კილომეტრის მანძილზე, 15 ნოემბრამდე დაამთავრონ საქონლის სადგომის გადახურვა და ახლად გაშენებული 6 ჰექტარი ვენახის ირგვლივ გააშენონ ქარსაცავები.

სოფ. მუხრანის სტალინის სახელობის—კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე, რომელსაც 200 კაცამდე დაესწრო, სიტყვით გამოსულმა სტახანოველმა კოლმეურნემ ამხ. ა. ყირმიზოვმა ილაპარაკა კოლმეურნეობის წარმატებებზე. აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობაში ახლად გაშენდა 24 ჰექტარზე მეტი ვენახი. წელს საშუალოდ თვითეული ჰექტარიდან 70 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო ნაკვეთზე მიმდინარე წელს 1.000 ძირი ატამი, ვაშლი, მსხალი და კაკალი დაირგო. მომავალ წელს კი 3.000 ძირ სხვადასხვა ხეს დავრგავთ,—აცხადებს კოლმეურნე ა. პაპუკაშვილი.

პარტიისა და მთავრობის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებისადმი მიძღვნილი კრებები ამავე დღეს ჩატარდა სოფ. ნიჩბისის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. მუხრანის მარქსის სახელობის, სოფ. ქსოვრისის ჩოდრიშვილის სახელობის, სოფ. წილკნის ბერიას სახელობის, სოფ. გალავნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში და საგურამოს სასოფლო-სამეურნეო განათლების სკოლაში.

პარტიისა და ხელისუფლების, დიდი სტალინის მშობლიური მზრუნველობით აღფრთოვანებული კოლმეურნეები პირობას სდებენ, რომ პატიოსანი, თავდადებული სტახანოვური მუშაობით უზრუნველჰყოფენ იმ ღონისძიებათა განუხრელად გატარებას, რომლებიც ქართლის რაიონების აყვავებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

გავაშენოთ ახალი ვენახი, გავადიდოთ ბოსტნეულის ფართობი

ხაშური, 21 ოქტომბერი. პარტიის და მთავრობის 15 ოქტომბრის დადგენილებამ, ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, ხაშურის რაიონის კოლმეურნეებში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა.

სოფ. ხცისის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრებმა დადგენილების გაცნობასთან დაკავშირებით მთელი რიგი ახალი ვალდებულებები იკისრეს. ბრიგადირმა ნ. ბურნაძემ და რგოლის ხელმძღვანელმა დავითაძემ აიღეს ვალდებულება მომავალ წელს მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე გაადიდონ 12 ცენტნერამდე, ხოლო შაქრის ჭარხლისა — 250 ცენტნერამდე. სტახანოველმა მეაბრეშუმეებმა მარგარიტა ტატუნაშვილმა და ზინა ჯიქურაშვილმა თითო კოლოფი თესლიდან წელს სახელმწიფოს 44 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36 კილოგრამისა. მათ აიღეს ვალდებულება მომავალ წელს კოლოფ თესლზე მიიღონ 47 კილოგრამი პარკი.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ იკისრა ვალდებულება საშემოდგომო თესვა დაამთავროს 1 ნოემბრამდე და შაქრის ჭარხლის აღება — 27 ოქტომბრამდე.

ქვიშხეთის კოლმეურნეობაში დღეს დილით მოეწყო დადგენილების ხმამაღალი კითხვა, საღამოს კი საკოლმეურნეო კლუბში შესდგა კოლმეურნეთა საერთო კრება. კრებაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესახებ სიტყვით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. გონგაძე. კოლმეურნეთა საერთო კრებამ აიღო ვალდებულება მომავალი წლიდან გაადიდოს ბოსტნეულის ფართობი 2,5 ჰექტარით, დათესოს 1 ჰექტარი კარტოფილი და შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 250 ცენტნერამდე აიყვანოს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ოსტატთა, მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ

ახალი ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, მაღაროების, მშენებლობების, ტრანსპორტის, აგრეთვე იმ საწარმოების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის ამოცანა, რომლებიც ახალი სახის პროდუქციის წარმოებაზე გადადიან, — მოითხოვს ინჟინრების, ტექნიკოსების, ოსტატების, მოსამსახურეების, კვალიფიციური მუშების სწორად განაწილებას ცალკეულ საწარმოებს შორის და მრეწველობის მუშაკთა გადაყვანას ერთი საწარმოდან, რომელსაც კვალიფიციური კადრები ჰყავს, სხვა საწარმოში, რომელიც ასეთი კადრების ნაკლებობას განიცდის.

არსებული მდგომარეობა, რომლის დროსაც სახალხო კომისარიატებს არა აქვთ უფლება სავალდებულო წესით გაგზავნონ ინჟინრები, მოსამსახურეები და კვალიფიციური მუშები ერთი საწარმოდან მეორეში, ხელს უშლის სახალხო მეურნეობის განვითარებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო კომისრებს უფლება სავალდებულო წესით გადაიყვანონ ინჟინრები, კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, ოსტატები, მხაზველები, ბუხჰალტრები, ეკონომისტები, საანგარიშო-საფინანსო და საგეგმო დარგის მუშაკები, აგრეთვე კვალიფიციური მუშები, დაწყებული მეექვსე თანრიგიდან და ზევით, ერთი საწარმოდან ან დაწესებულებიდან მეორეში, საწარმოთა და დაწესებულებათა ტერიტორიული მდებარეობის მიუხედავად.

2. ინჟინრების, მოსამსახურეებისა და კვალიფიციური მუშების სხვა ადგილებში სამუშაოზე გადაყვანამ, ამ ბრძანებულების წესით, არ უნდა გამოიწვიოს გადაყვანილი მუშაკის რაიმე მატერიალური ზარალი, რის გამო დაწესდეს, რომ სახალხო კომისარიატი ვალდებულია აუნაზღაუროს გადაყვანილ მუშაკს: ა) თვით მუშაკისა და მისი ოჯახის წევრთა ახალ სამუშაო ადგილამდე საგზაო ხარჯი; ბ) ქონების გადატანის ღირებულება; გ) დღიურები გზაში ყოფნის დროისათვის; დ) ხელფასი გზაში ყოფნის დროს და დამატებით კიდევ ექვსი დღისათვის; ე) მისცეს ერთდროული დახმარება გადაყვანილ მუშაკს ახალ ადგილზე მოსაწყობად 3-4 თვის ხელფასის რაოდენობით (რაიონის კვალობაზე) ძველი სამუშაო ადგილის მიხედვით და გადაყვანილი მუშაკის ხელფასის ერთი მეოთხედის რაოდენობით ოჯახის თვითეულ წევრზე, რომელიც გადაყვანილის მუშაობის ადგილზე მიემგზავრება.

3. დაწესდეს, რომ ინჟინრებს, მოსამსახურეებსა და კვალიფიციურ მუშებს, რომლებიც ერთი საწარმოდან მეორეში გადაჰყავთ იმავე ადგილის ფარგლებში, ენახებათ საწარმოში განუწყვეტელი შრომის სტაჟი, ხოლო სხვა ადგილებში გადაყვანილთ დამატებით მიემატებათ შრომის სტაჟის ერთი წელი.

4. დაწესდეს, რომ საწარმოთა დირექტორები და დაწესებულებათა უფროსები ვალდებული არიან საწარმოდან ან დაწესებულებიდან წასვლის ნებართვა მისცენ იმ ინჟინრების, მოსამსახურეებისა და კვალიფიციური მუშების ცოლებს, რომლებიც ამ ბრძანებულების თანახმად სხვა ადგილას გადაჰყავთ.

5. ის პირები, რომლებიც არ შეასრულებენ სახალხო კომისრის ბრძანებას სხვა საწარმოში ან დაწესებულებაში სავალდებულო გადაყვანის შესახებ, საწარმოდან ან დაწესებულებიდან თვითნებურად წასულად ჩაითვლებიან და სამართალში მიეცემიან, თანახმად საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მე-5 მუხლისა.

6. გაუქმდეს 1940 წლის 20 ოქტომბრიდან შრომითი ხელშეკრულებანი, რომლებიც სახალხო კომისარიატებისა და საწარმოების მიერ დადებულია ვადით ამ ბრძანებულების 1 მუხლში ჩამოთვლილ ინჟინრებთან, მოსამსახურეებთან და კვალიფიციურ მუშებთან, და ნება დაერთოს სსრ კავშირის სახალხო კომისრებს დასტოვონ აღნიშნული ინჟინრები, მოსამსახურეები და კვალიფიციური მუშები იმ საწარმოებში, სადაც ისინი ხელშეკრულების მიხედვით მუშაობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წლის 19 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოფელ ალბულაღის სოფელ თეთრ წყაროდ და ალბულაღის რაიონის თეთრი წყაროს რაიონად გადარქმევის შესახებ

ალბულაღის რაიონის ცენტრს სოფელ ალბულაღს ეწოდოს სოფელი თეთრი წყარო, ხოლო ალბულაღის რაიონს — თეთრი წყაროს რაიონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი
1940 წ. 9 ოქტომბერი.

◁ □ □ ▷

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-იტალიის ომი

ლონდონი, 21 ოქტომბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 19 ოქტომბერს ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა გემების ქარავანს ბენგაზის ნავსადგურის ახლოს. ბენგაზში ყუმბარა დააყარეს მტრის ყაზარმებსა და შტაბის სადგომს. ყაზარმებში დიდი ხანძარი გაჩნდა. ბარდიის აღმოსავლეთით ყუმბარა დაუშინეს ყაზარმებს და ავტოტრანსპორტის დიდ ჯგუფს. ხალთაის პუნქტთან სოიუმის ახლოს ყუმბარები მოხვდა საზენიტო ქვემეხების განლაგების ადგილებს და სამხედრო ბანაკს. ბომბარდირებულია აგრეთვე ბაქაკის საზენიტო ბატარიები. დირედაუას ანგარებში, რომლებზედაც მიტანილია იერიში, ბევრ ადგილას აფეთქება მოხდა და ხანძარი გაჩნდა.

იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ამერიკის ნავთის სარეწებს

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 19 ოქტომბერს იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ამერიკის შეერთებული შტატების კუთვნილ ნავთის სარეწებს და ნავთსახდელ ქარხნებს ბახრეინის კუნძულზე და საუდის არაბეთში. ზარალი უმნიშვნელოა. ამერიკელთაგან არავინ დაზარალებულა.

ვინობა ბხავეს დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ხელისუფლებამ დააპატიმრა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წევრი ვინობა ბხავე, რომელმაც განდის დავალებით სამოქალაქო ურჩობის კამპანია დაიწყო.

დაიწყო მიმოსვლა ბირმა-ჩინეთის გზაზე

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლასიოდან (ბირმა) იუწყება, ჩინეთის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბირმა-ჩინეთის გზაზე მოძრაობა წარმატებით ხორციელდება. როგორც გადმოგვცემენ, გზის გახსნიდან 18 საათის შემდეგ ლასიოდან 1.500 ტონაზე მეტი ტვირთი გაიგზავნა. გზაზე ბენზინსაცავები ყუმბარუსაშიშრო საფარებით არის დაცული. იმ ტვირთის დიდი ნაწილი, რომელიც ამ გზით გადააქვთ, ბენზინისა, მანქანებისა და თვითმფრინავებისაგან შესდგება.

ბირმა-ჩინეთის გზის ბომბარდირება

ჩუნცინი, 19 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ჩუნცინიდან იუწყება, ჩუნცინში მიღებული ცნობების თანახმად, იაპონელებმა უკვე დაიწყეს ბირმა-ჩინეთის გზის ბომბარდირება. ჩინური გაზეთები კუნმინიდან იუწყებიან, რომ გუშინ, დილით, იაპონიის 36 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა მთელ რიგ პუნქტებს ამ გზაზე, რომელზედაც გუშინ მოძრაობა განახლდა. 17 ოქტომბერს იაპონიის თვითმფრინავები ზვერავდნენ გზას. იაპონიის თვითმფრინავებმა, რომელნიც საფრანგეთის ინდო-ჩინეთში მდებარე ახალი ბაზებიდან მოქმედებენ, გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები კუნმინს, აგრეთვე იუნანის პროვინციის მთელ რიგ სხვა ქალაქებს. იაპონიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე ცალკეულ პუნქტებს კუნმინ-ხანოის რკინიგზაზე. საჰაერო განგაში კუნმინში 17 ოქტომბერს 7 საათს გაგრძელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკული პრესა ინგლისისადმი ა. შ. შტატების დახმარების შესახებ

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი (საქდესი). პრესა იხილავს ინგლისისადმი შემდგომი დახმარების გაფართოების შესაძლებლობას. „ნიუ იორკ ტაიმსი“ აცხადებს, რომ უილკი უკანასკნელ სიტყვაში კვლავ მოუწოდებდა — ინგლისს დახმარება უნდა აღმოუჩინოთო.

ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუსი“ დაჟინებით მოითხოვს ნეიტრალიტეტის კანონისა და ჯონსონის კანონის გაუქმებას, რათა შესაძლებელი გახდეს ინგლისისა და კანადისათვის დიდი სესხის მიცემა. სხვა ჟურნალები და გაზეთები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ინგლისს, სულ ცოტა, 25 ყუმბარმშენი — „მფრინავი სიმაგრე“, ტორპედიანი კატარღები და სხვა საჭურველი უნდა გაეგზავნოსო.

ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ინგლისისათვის მარტო აგვისტოში გაგზავნილი თვითმფრინავების ღირებულება თითქმის 30 მილიონ დოლარს უდრის.

ჟურნალი „ანალისტი“ აღნიშნავს, რომ ივლისში ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიძინა 8,5 მილიონი დოლარის დაზგები, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე როდისმე შეუძენია.

„ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამი“ აცხადებს, რომ ამჟამად ამერიკის მთავრობა ინგლისის დაკვეთებს ამერიკის სამხედრო დაკვეთებთან შედარებითაც კი უპირატესობას აძლევს. ამერიკის დახმარება ინგლისისადმი, — სწერს გაზეთი, — ინგლის-ამერიკის ნამდვილ კავშირად იქცევა. ინგლისს უპირატესობა ენიჭება თვითმფრინავების მიწოდების მხრივაც. ეს უპირატესობა იქამდე მივიდა, რომ ამერიკის არმიის ერთერთი ესკადრილიის მფრინავები ამ ცოტა ხნის წინათ სჩიოდნენ — სავარჯიშო მიზნებისათვის უახლესი თვითმფრინავი ვერ მივიღეთო.

გაზეთის ცნობებით, ინგლისი იღებს ამერიკის თვითმფრინავების მთელი წარმოების დაახლოებით 80 პროცენტს, ანუ დაახლოებით 500 თვითმფრინავს თვეში. ფიქრობენ, რომ ინგლისი თებერვლისათვის მიიღებს 1.000 თვითმფრინავს ყოველთვიურად, ხოლო 1942 წლის შუახანებისათვის — 3.000 თვითმფრინავს. გაზეთის სიტყვით ამჟამად ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ახლანდელ პირობებში შესაძლო მაქსიმალურ დახმარებას იღებს. კარგად ინფორმირებულ წრეებში სულ უფროდაუფრო შესაძლებლად მიაჩნიათ ამერიკის ჩაბმა ომში. ზოგიერთი გავლენიანი საქმიანი წრეები, იმ ჯგუფების ჩათვლით, რომლებიც „დამშვიდების“ ტენდენციას იჩენენ, კონგრესის ზოგიერთი გავლენიანი წრე — იზოლაციონისტები და სხვები ინგლისისათვის ასეთი დიდი დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ გამოდიან.

ამერიკის დახმარება ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). პრესა იუწყება, რომ გუშინ რუზველტს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა კანადის გენერალ - გუბერნატორთან ჰერცოგ ატლონთან (მეფე გიორგის ბიძა), რომელიც კანადიდან ჩამოვიდა. ამ საუბარმა გამოიწვია ხმები, რომ ამერიკამ გააძლიერა დახმარება ინგლისისადმი, კერძოდ, გადასცა მას ამერიკის უდიდესი ყუმბარმშენები „მფრინავი სიმაგრე.“ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, თეთრ სახლში უარი განაცხადეს ამ ხმების კომენტირებაზე. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ აცხადებს, რომ, შესაძლებელია, რუზველტმა და ატლონმა განიხილეს ინგლისისათვის ყუმბარმშენების „მფრინავი სიმაგრის“ გადაცემის საკითხი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ყუმბარმშენთა მოქმედების უზარმაზარი რადიუსი ინგლისელებს გაუადვილებს გერმანიასა და იტალიაზე საჰაერო თავდასხმას.

საგაზეთო ტრესტის „სკრიპს ჰოვარდის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი სწერს, რომ, კონგრესის ზოგიერთი წევრის აზრით, რამდენიმე ყუმბარმშენი „მფრინავი სიმაგრე“, აგრეთვე რამდენიმე დიდი საზღვაო ყუმბარმშენი უკვე გადაეცა ინგლისს. კორესპონდენტის სიტყვით, შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენად სარწმუნოა ეს ხმები, რადგან ოფიციალური პირები უარს ამბობენ მათს კომენტირებაზე. მთავრობა უარს ამბობს მიაწოდოს კონგრესს ცნობები ინგლისისათვის გადაცემული სხვადასხვა სამარი მასალის რაოდენობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წრეები სდუმან, აღნიშნავს კორესპონდენტი, ავტორიტეტულმა წრეებმა კონგრესის ზოგიერთ წევრს აცნობეს, რომ ამერიკის მთავრობამ ინგლისს გადასცა 2.200 სახმელეთო და საზღვაო თვითმფრინავი, 500 ათასი შაშხანა, 150 მილიონი ვაზნა, 70 ათასი ტყვიამფრქვევი და საველე არტილერიის 6 ათასი ქვემეხი. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ნება დართო გატანილ იქნას კანადაში წარსული ომის დროის 250 ტანკი სავარჯიშო მიზნებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ინგლისის 4 ჯარისკაცში ერთს ამერიკული შეიარაღება და საჭურველი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დიდძალი სამხედრო საჭურველი მიიღო, იგი მოითხოვს თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავებისა და სხვა სამარი მასალის მიწოდების შემდგომ გაძლიერებას. ინგლისი განსაკუთრებით ცდილობს, რომ მას გადაეცეს მოქმედების დიდი რადიუსის საზღვაო ყუმბარმშენები და ყუმბარმშენები „მფრინავი სიმაგრე“. ინგლისი აცხადებს, რომ მოქმედების დიდი რადიუსის ყუმბარმშენები მას ესაჭიროება იმისათვის, რომ საშუალება ექნეს ყუმბარა დაუშინოს გერმანიის სამხედრო ქარხნებს სილეზიასა და პროტექტორატში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი, სწერს, რომ ინგლისმა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუკვეთა 6 ათასი თვითმფრინავი. მომავალ ზაფხულამდე თვითმფრინავთა ექსპორტი ინგლისში შეიძლება 600 თვითმფრინავს აღემატოს თვეში. გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუსმა“ 17 ოქტომბერს გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩიკაგოში დაარსდა იმ ამერიკელ მფრინავებისაგან განცხადებათა მიმღები ბიურო, რომელთაც ინგლისისა და კანადის ავიაციაში შესვლა სურთ.

თუმცა დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ხელმძღვანელნი, ცნობილი მრეწველნი და მეტი ნაწილი გაზეთები მხარს უჭერენ ინგლისისათვის დახმარების გაწევის პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს სხვადასხვა პოლიტიკური წრეები ამ დახმარების წინააღმდეგ ილაშქრებენ. დიდი სავაჭრო კორპორაციის „სირს რობუკის“ მეთაურმა, გადამდგარმა გენერალმა ვუდმა, რომელიც, როგორც სჩანს, გავლენიანი საქმიანი წრეების განწყობილებას გამოხატავს, გუშინ გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტში“ გამოაქვეყნა სტატია, მიმართული ინგლისში ამერიკის იარაღის გაგზავნის წინააღმდეგ, ვუდი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „სწრაფად უახლოვდებიან ომში უშუალოდ ჩაბმის მომენტს“.

პრეზიდენტის საარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი (საქდესი). პრეზიდენტის არჩევნების ვადის მოახლოვებასთან ერთად დიდი პოლიტიკური პარტიები უფროდაუფრო აძლიერებენ საარჩევნო კამპანიას. გუშინ რუზველტმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს წარმოსთქვას ხუთი საარჩევნო სიტყვა. როცა იგი 19 ივლისს დასთანხმდა, რომ დემოკრატიულ პარტიას წამოეყენებინა მისი კანდიდატურა პრეზიდენტობის პოსტზე, მან განაცხადა, რომ განზრახული აქვს თავი შეიკავოს წმინდა პოლიტიკური გამოსვლებისაგან და პასუხს გასცემს მხოლოდ „ფაქტების ფალსიფიკაციაზე“. გუშინვე მან განაცხადა: იმის გამო, რომ „ფაქტების შეგნებულ ფალსიფიკაციას“ ჰქონდა ადგილი, მე მთელი რიგი საარჩევნო სიტყვებით გამოვალო. რუზველტი კონკრეტულად არ აღნიშნავს, თუ რაში მდგომარეობს ეს ფალსიფიკაცია.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, რუზველტს განზრახვა აქვს წარმოსთქვას სიტყვები: 23 ოქტომბერს ფილადელფიაში, 28 ოქტომბერს ნიუ-იორკში, 30 ოქტომბერს ვაშინგტონში ან ბალტიმორში, 2 ნოემბერს კლივლენდში და 4 ნოემბერს ჰაიდ-პარკში. იმავე დროს უილკი განაგრძობს თავის წინასაარჩევნო მოგზაურობას სახელმწიფოში და თითქმის ყოველდღე გამოდის სიტყვებით. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ 17 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ უილკის მომხრეები — მსხვილი მრეწველები ნიუ-იორკსა და სხვა ქალაქებში აქტიურ კამპანიას აჩაღებენ უილკის სასარგებლო საარჩევნო კამპანიის ფონდში სახსრების შესაგროვებლად.

„საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი“ იუწყება, რომ, უკანასკნელი საცდელი შეკითხვის ცნობების თანახმად, უილკის პოზიცია უკანასკნელ კვირებში რამდენადმე განმტკიცდა, მაგრამ შეკითხულთა პასუხები ჯერ კიდევ მოწმობენ, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს რუზველტს—55 პროცენტი, ხოლო უილკის—45 პროცენტი. ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ მისი შეკითხვის თანახმად, 414 ამომრჩეველმა (531-დან) მხარი დაუჭირა რუზველტს და 117 ამომრჩეველმა—უილკის.

„საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის“ განცხადების საწინააღმდეგოდ, გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ 17 ოქტომბერს იუწყებოდა, რომ დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის ყოფილმა სპეციალისტმა სტატისტიკის დარგში ემილ ჰარჯმა ნიუ-იორკის მრეწველთა კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, უილკი არჩევნებში დიდ უმრავლესობას მიიღებსო.

შუა დასავლეთში უაღრესად გავლენიანმა გაზეთმა „პოსტ დისპეტჩმა“, რომელიც სან-ლუიში გამოდის და რომელიც დღემდე გადაჭრით ილაშქრებდა რუზველტის წინააღმდეგ და განსაკუთრებით მისი საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, ამ კვირაში განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს რუზველტს. კვლავ ილაშქრებს რა რუზველტის ზოგიერთი საგარეო პოლიტიკური ღონისძიების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ინგლისისათვის საესკადრო ნაღმოსნების გადაცემის წინააღმდეგ, გაზეთი აცხადებს, რომ, მისი აზრით, უილკი ძირითადად ეთანხმება რუზველტის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. მაგრამ გაზეთი აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს რუზველტს, რამდენადაც რუზველტი უფრო გამოცდილია, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იმ დროს, როდესაც უილკის „არა აქვს გამოცდილება და შეუძლია ჩაიდინოს რაიმე უფრო საშიში შეცდომა, ვიდრე რუზველტის მიერ ყოფილა ჩადენილი“.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს უმაღლესი სარდლობის ცნობას:

19 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა კვლავ მიიტანეს იერიში ინგლისის გემების ქარავანზე. მიღებული ცნობების თანახმად ღამის განმავლობაში ამ ქარავნიდან ჩაძირულია მტრის 17 სავაჭრო გემი, რომელთა საერთო ტონაჟი 110.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის. სხვა წყალქვეშა ნავები იუწყებიან, რომ მათ ჩასძირეს მტრის გემები 43.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. ორი დღის განმავლობაში მტრის ჩაძირული გემების ტონაჟი 327 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას უდრის

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, გერმანიის ავიაცია განაგრძობდა ყუმბარების დაშენას ლონდონისა და სამხედრო ობიექტებისათვის ცენტრალურ და სამხრეთ ინგლისში. ღამით გერმანიის თვითმფრინავების დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ლონდონზე და დიდძალი ყუმბარა ჩამოჰყარეს. ბევრ ადგილას ახალი ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა ვესტ-ენდის დოკების ჩრდილოეთით, გრინვიჩის გაზის ქარხანაში, ჰენდლი-პეიჯის ავიაქარხანაში, ერთ დიდ ჰიდროსადგურსა და ბევრ ვაგზალში. მძიმე ყუმბარმშენთა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ლივერპულის სანავსადგურო ნაგებობებზე, კოვენტრის სამრეწველო საწარმოებზე და სამხრეთი და ცენტრალური ინგლისის სამხედრო მრეწველობის სხვა ცენტრებზე. მტერი თავს არ დასხმია გერმანიის ტერიტორიას.

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ წინა ღამით ლონდონზე დიდი თავდასხმის დროს მოსპობილ იქნა სარელსო ლიანდაგები ვატერლოოს ვაგზალთან. ეს პუნქტი რამდენიმე მნიშვნელოვანი ხაზის კვანძს წარმოადგენს. ვესტ-ენდისა და ოსტ-ენდის დოკებში ახალი დიდი ხანძრები გაჩნდა.

19 ოქტომბერს, ღამით, ლონდონზე თავდასხმის დროს გერმანიის ყუმბარმშენებმა ყუმბარები დააყარეს გაზის ორ ქარხანას გრინვიჩსა და ფულჰემში. გრინვიჩში რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. გაზის ქარხანა ფულჰემში დანგრეულ იქნა დიდი ყალიბის ყუმბარებით. აქაც მოხდა აფეთქება. ავარდნილი ძლიერი ალი რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევდა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 19 ოქტომბერს, ღამით, გერმანიის ავიაციას ინგლისის წინააღმდეგ რამდენადმე უფრო მეტი მასშტაბით მოჰქონდა იერიშები, ვიდრე წინა ღამეებში. იერიშებმა უდიდეს ძალას მიაღწიეს დაღამების შემდეგ, როდესაც თავს დაესხნენ ლონდონს, ინგლისის ცენტრალურ ნაწილსა და ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქებს. ლონდონისა და მისი გარეუბნების ვრცელ ტერიტორიაზე მრავალი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები გადმოყარეს. დაზარალებულია ბევრი საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობები. ბომბარდირებათა შედეგად ძალიან ბევრ ადგილას გაჩენილი ხანძარი მალე იქნა ლიკვიდირებული. ამ პუნქტების მოსახლეობაში ბევრია მოკლული და დაჭრილი. ინგლისის ცენტრალურ ნაწილში თავდასხმის ობიექტი გახდა ერთერთი ქალაქი, სადაც რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სავაჭრო საწარმოები. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი უმნიშვნელოა. მდინარე მერსეის რაიონსა და ამ რაიონის ზოგიერთ ქალაქში თავდასხმების შედეგად მოყენებული ზარალი უმნიშვნელოა და მსხვერპლთა რიცხვი დიდი არ არის. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე ბევრი პუნქტი უელსში, მაგრამ ამ ბომბარდირების შედეგად მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა და მსხვერპლიც ცოტაა.

18 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის ავიაციამ კვლავ წარმატებით დაუშინა ყუმბარები გერმანიის დოკებსა და გემთსაშენებს. ინგლისის ყუმბარმშენებმა ყუმბარები დააყარეს ჰამბურგის გემთსაშენებს. არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ამ გემთსაშენების ბომბარდირება თითქმის სამნახევარ საათს გრძელდებოდა. წარმატებით დავუშინეთ ყუმბარები აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ბაზას კილში. დაბალმა ღრუბლიანობამ საშუალება არ მოგვცა გამოგვერკვია, თუ რა ზარალი მივაყენეთ ჰამბურგის, ემდენისა და ლიუბეკის დოკებს. მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ჰამბურგის დოკები ძლიერ დაზიანდა.

ინგლისის ყუმბარმშენთა სხვა შენაერთებმა, რომლებიც რურის ოლქში მოქმედებდნენ, საზენიტო ბატარიების ინტენსიური ცეცხლის მიუხედავად, ყუმბარები დაუშინეს ალუმინის ქარხნებს დორტმუნდის მახლობლად. ამ ქარხნებს რამდენიმე ტონა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები დავყარეთ.

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 19 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენთა მოქმედება შეზღუდული იყო დაბალი ღრუბლიანობის გამო. მიუხედავად ამისა, ჩვენი ყუმბარმშენები თავს დაესხნენ დამხარისხებელ სადგურს გერმანიაში და აეროდრომს ჰოლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში.

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ინგლისის საზღვაო სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჰიდროთვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გერმანიის საზღვაო ავიაციის ბაზაზე ტრომსში ნორვეგიის ჩრდილოეთ - სანაპიროზე, პოლარული წრის გადაღმა. პირდაპირი მოხვედრის შედეგად ტრომსში რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. ჩვენი ჰიდროთვითმფრინავები თავს დაესხნენ აგრეთვე სამხედრო - სატრანსპორტო გემს, რომელიც, როგორც სჩანს, დაზიანდა. ერთი თვითმფრინავი იძულებული გახდა ნეიტრალურ ტერიტორიაზე დაშვებულიყო.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 19 ოქტომბერს, ღამით, პირველი ოთხი თავდასხმა ლონდონზე ისეთივე გააფთრებული იყო, როგორც 15 ოქტომბრის თავდასხმა, რომელიც ყველაზე ძლიერ თავდასხმად ითვლება. გერმანიის ყუმბარმშენები გამოჩნდნენ ინგლისის ცენტრალურ და სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში და დიდძალი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა ჩამოაგდეს.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 19 ოქტომბრის ღამის თავდასხმა ლონდონზე ერთერთი უძლიერესი იყო, მაგრამ ნაშუაღამევს იერიში შენელდა, ლონდონზე დიდი შენაერთების ნაცვლად ცალკეული თვითმფრინავები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ბომბარდირებით დაზიანებულია ყუმბარსაფრები და საცხოვრებელი სახლები. მსხვერპლის რაოდენობის მხრივ ეს თავდასხმა ერთერთი უსასტიკესია. ორი ყუმბარა ლონდონში მოხვდა რესტორანებს, სადაც ბევრია მოკლული. ბევრგან გაჩნდა ხანძარი.

არტილერიის კანონადა პა-დე-კალეს რაიონში

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის შორსმსროლელმა ბატარეებმა დუვრში დღეს, დაახლოებით შუადღისას, გააფთრებული სროლა აუტეხეს საფრანგეთის სანაპიროს. მალე გერმანიის ქვემეხებმა, რომლებიც საფრანგეთის სანაპიროზეა დადგმული, საპასუხო სროლა ასტეხეს, ხოლო გერმანიის ავიაცია ცდილობდა გამოერკვია ინგლისის ბატარეების განლაგების ადგილი. საზენიტო ბატარეებმა გერმანიის თვითმფრინავებს სროლა აუტეხეს.

საომარი მოქმედების გერმანული მიმოხილვა

ბერლინი, 20 ოქტომბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს ინგლისთან ბრძოლის მეშვიდე კვირის საომარი ოპერაციების მიმოხილვას. ამ კვირისათვის დამახასიათებელია გერმანიის ავიაციის განუწყვეტელი ძლიერი თავდასხმა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის მრავალი ოპერაცია. ინგლისის ავიაცია ყუმბარას უშენდა გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და დანიის მთელ რიგ პუნქტებს. გერმანიის ავიაციამ წარმატებას მიაღწია სამხედრო ობიექტების დანგრევის, ჰაერში უპირატესობის მოსაპოვებლად ინგლისის თვითმფრინავთა მოსპობის, სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაგებობათა განადგურების, ინგლისის რკინიგზათა ქსელის დანგრევის, საპასუხო ბლოკადის განხორციელებისა და მტრის დემორალიზაციის მხრივ.

საომარი ობიექტების, განსაკუთრებით ბანაკებისა და აეროდრომების დანგრევის მხრივ, ნათქვამია მიმოხილვაში, შეიძლება აღინიშნოს, რომ ინგლისის ავიაციის მარშალმა ჟუბერ დე ლა ფერტმა აშკარად აღიარა, რომ გერმანიის ავიაციის გააფთრებული თავდასხმის შედეგად ინგლისელები იძულებული იყვნენ ცენტრალურ რაიონებში გადაეტანათ სამხრეთ ინგლისის აეროდრომები. ამიტომ გერმანიის თვითმფრინავებმა უკანასკნელ კვირაში ბომბარდირების მიზნად აირჩიეს ცენტრალური ინგლისის აეროდრომები. ამ სამხედრო წარმატების დიდი მნიშვნელობა არ შეიძლება ჯეროვნად არ იქნეს შეფასებული. ერთმა სამხედრო სპეციალისტმა აღნიშნა, რომ ამრიგად გერმანიამ წასწია თავისი „საჰაერო ფრონტის“ ხაზი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში ინგლისელებმა დაჰკარგეს 112 თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 26 თვითმფრინავი. უკანასკნელ კვირაში გერმანიის წყალქვეშა ფლოტმა და გერმანიის ავიაციამ ჩასძირეს 235.516 ტონა საერთო წყალწყვის სავაჭრო გემები. გერმანიის სამხედრო ფლოტის გემებსა და ავიაციას წარმატებით მიჰქონდათ იერიში და ანგრევდნენ ინგლისის ნავსადგურებს.

ინგლისის თვითმფრინავებმა პარიზში ფურცლები ჩამოჰყარეს

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, პარიზიდან მიღებულია ცნობები, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა იქ ფურცლები ჩამოჰყარეს, რომლებითაც გაფრთხილებას იძლევიან, რომ ამ უახლოეს ორი კვირის განმავლობაში მოსალოდნელია პარიზის საჰაერო ბომბარდირება. ფურცლები პარიზელებს ურჩევენ სამი დღის სურსათ - სანოვაგე მოიმარაგონ თავშესაფრებში.

ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მაკდონალდის გამოსვლა

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). 17 ოქტომბერს თემთა პალატის სხდომაზე გამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი მაკდონალდი, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისში ამჟამად აღინიშნება ცერებროსპინალური (ხერხემლის ტვინის) დაავადებათა საშინელი ზრდა. ომთან დაკავშირებით, უფრო სერიოზული გახდა ვენერიულ დაავადებასთან ბრძოლის პრობლემა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ინგლისში აღნიშნული იყო ამგვარი დაავადების შემცირება, მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში დაავადებამ კვლავ იმატა. ამასთან დაკავშირებით, სთქვა მაკდონალდმა, იბადება ვენერიული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების აუცილებლობის საკითხი.

მაკდონალდმა აღნიშნა, რომ ბევრ სასოფლო რაიონში ვენერიული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალება მოძრავი სანიტარული რაზმები იქნებოდაო.

თემთა პალატის ზოგიერთმა ლეიბორისტმა წევრმა სხდომაზე გააკრიტიკა მაკდონალდის განცხადება. დოქტორმა ჰესტმა განაცხადა, მოსახლეობაში დაავადების ზრდა ერთერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობისთვისო. მძიმედ დაჭრილი ადამიანები, რომელთა შორის ბევრია ბავშვები, ძალიან ადვილად ითვისებენ ინფექციურ დაავადებას, რაც შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის მთელ დანარჩენ ნაწილზედაც გავრცელდესო. თემთა პალატის მეორე წევრმა, დოქტორმა სკმერსკილმა აღნიშნა, რომ ინგლისის მოსახლეობა იძულებულია ისარგებლოს ანტისანიტარული ყუმბარსაფრებით, რომელთაც ცუდი ვენტილაცია აქვთ. ამასთან დაკავშირებით, იზრდება ეპიდემიურ დაავადებათა საფრთხე, როგორც ეს 1918 წელს მსოფლიო ომის დროს იყო ინფლუენციის ეპიდემიის დროს.

ინგლისის მშრომელთა ბრძოლა ღრმა ყუმბარსაფრების შექმნისათვის

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). ჩრდილოეთ ლონდონის ერთერთ რაიონში ბინის 20 დამქირავებელმა, რომლებიც ბომბარდირების შედეგად დაზიანებულ შენობებში ცხოვრობენ, უარი სთქვეს ბინის ქირის გადახდაზე მანამ, სანამ სახლთა მფლობელები სახლებს არ შეაკეთებენ.

ჩრდილოეთ ლონდონის მეორე რაიონში ბინის დამქირავებელთა ასოციაციამ 2500 კაცს მოაწერინა ხელი იმ პეტიციაზე, რომელიც საიმედო ყუმბარსაფრების აგებას მოითხოვს.

ტანორიდჰუელსის (კენტის საგრაფო) მუშათა რაიონში უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა საზოგადოებრივი ყუმბარსაფრები, გარდა სასკოლო ყუმბარსაფრებისა, სადაც მოსახლეობას არ უშვებდნენ. კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით მოსახლეობას საშუალება მიეცა ისარგებლოს ღამით ამ თავშესაფრების ერთი ნაწილით. წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერა იმ პეტიციაზე, რომელიც დანარჩენი თავშესაფრების გაღებასა და ახალი თავშესაფრების აგებას მოითხოვს.

იდენის გამგზავრება ეგვიპტეში

ლონდონი, 18 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს თავისი სამხედრო მიმომხილველის სტატიას ეგვიპტეში იდენის გამგზავრების მიზნების შესახებ.

„ეგვიპტეში ამჟამად მყოფი სამხედრო მინისტრი იდენი, — სწერს მიმომხილველი, — მოეთათბირება ახლო აღმოსავლეთში მყოფ ინგლისის ჯარების მთავარსარდალს გენერალ უეიველს. იდენის ჩასვლის ეს მნიშვნელობა ამჟამად ცხადია. იდენის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გენერალ უეიველს ყოველნაირი დახმარება გაუწიოს ხალხითა და საომარი საჭურველით და განიხილოს მასთან აქტუალური საკითხები.

იდენს შესაძლებლობა ექნება აგრეთვე განიხილოს ადმირალ კენინგჰემთან ხმელთაშუა ზღვაში შექმნილი ვითარება.

უცხოელ ებრაელთა საკონცენტრაციო ბანაკები საფრანგეთში

ლონდონი, 19 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება „უცხოელი ებრაელები მოთავსებულ იქნებიან სპეციალურ ბანაკებში. შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია კომისია, რომელსაც ამ ბანაკების მართვაგამგეობა დაევალა“.

ჰიმლერი მადრიდს ჩავიდა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ბურგოსიდან იუწყება, გერმანიის პოლიციის უფროსი ჰიმლერი მადრიდს ჩავიდა.

საქდესის ცნობა

ამერიკის სააგენტო იუნაიტედ პრესი, იმოწმებს რა თავის სტამბოლელ კორესპონდენტს, იუწყება, რომ „თურქეთის მოსკოველ ელჩ აქტაის 18 ოქტომბერს საიდუმლო საუბარი ჰქონდა სტალინთან“.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ იუნაიტედ პრესის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება.

ფინეთის პრეზიდენტმა რატიფიკაცია უყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულებას ალანდის კუნძულების დემილიტარიზაციის შესახებ

ჰელსინკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). ფინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ „ფინეთის პრემიერ-მინისტრმა რიუტიმ, რომელიც დროებით პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს, გუშინ რატიფიკაცია უყო ალანდის კუნძულების დემილიტარიზაციის შესახებ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებას“.

ქრონიკა

20 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი შ. ტოგო.

იაროსლავლის სადგურზე ბ-ნი შ. ტოგო გააცილეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, დიპლომატიური კორპუსის წევრებმა და იაპონიის საელჩოს შემადგენლობამ.

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 20 ოქტომბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგ ცნობას: „18 ოქტომბერს, ღამით, იტალიის მძიმე ყუმბარმშენებმა 4.500 კილომეტრი გაიარეს და თავს დაესხნენ ნავთის მნიშვნელოვან ცენტრს ბახრეის კუნძულებზე (ინგლისის სამფლობელოები სპარსეთის ყურეში). ბომბარდირების ობიექტები იყო ნავთსახდელი ქარხნები, ნავთსადენი და საწვავით სავსე რეზერვუარები. ბომბარდირების შედეგად ბევრ ადგილას დიდი ხანძარი გაჩნდა, რომელიც საკმაოდ დიდ მანძილზე მოსჩანდა. იტალიის ყველა თვითმფრინავი უკან დაბრუნდა.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ჯარის ბარაკებს ალემ-ერ რუმის კონცხზე და გზას მერსა-მატრუხის აღმოსავლეთით, აგრეთვე აეროდრომებსა და ბარაკებს მაატენ ბაგუშსა და ფუკაში, რკინიგზას და აეროდრომებს ედ-დაბაში. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ბარდიას და ჰალფაიას; მსხვერპლი და ზარალი არ არის. მტერმა კვლავ დაუშინა ყუმბარა ბენგაზის, სადაც დიდძალი ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა ჩამოჰყარა ნავსადგურში და ქალაქის ცენტრალურ რაიონში. დაზიანებულია რამდენიმე სახლი. მსხვერპლი არ არის, სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულან.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენი ავიაციის დახმარებით მოგერიებულ იქნა მტრის მოტორიზებული ნაწილების იერიში, მიმართული გერილეს წინააღმდეგ. მტრის ავიაცია თავს დაესხა ტოდინიაკს (რუდოლფის ტბაზე), აგრეთვე ბარენტას, დეკამერესა და მასაუას (ერიტრეა); მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა, არის რამდენიმე დაჭრილი. მტრის თავდასხმა სხვა პუნქტებზე უშედეგო იყო“.

ლონდონი, 20 ოქტომბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის საჰაერო ძალების სარდლობის შემდეგ კომუნიკეს:

„18 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის მნიშვნელოვან ბაზას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში — დოდეკანეზის კუნძულებს. როდოსის კუნძულის ბომბარდირების დროს ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ადმინისტრაციულ შენობებსა და ანგარებს. ინგლისის თვითმფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს აგრეთვე ბარენტას (ერიტრეა), გურას, დირედაუას, სოლუმსა და ბენგაზს. ბარენტაში მათ ყუმბარები დააყარეს იტალიის თვითმფრინავებს, რომლებიც ძირდასაშვებ მოედანზე იდგნენ. მტრის 3 ავიაგამანადგურებელს ცეცხლი გაუჩნდა, ხოლო 6 სხვა თვითმფრინავი სერიოზულად დაზიანდა. დირედაუას ბომბარდირების დროს ყუმბარები რკინიგზის ნაგებობებსა და ანგარებს მოხვდა. ბენგაზის ნავსადგურს დავაყარეთ მძიმე ყუმბარები, რომლებიც დაეცა ნავმისადგომის სამხრეთ ნაწილთან მდგომ გემებს შორის, აგრეთვე სანაპიროზე. სჩანდა, რომ ცეცხლგამჩენი ყუმბარა მოხვდა ერთერთ სავაჭრო გემს. ამ ოპერაციის შემდეგ ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა“.

სამხედრო მრეწველობის გაფართოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). პრესა იუწყება, რომ მთავრობამ დამატებით შეუკვეთა საჭურველი და დასდო ხელშეკრულებანი სამხედრო საწარმოთა გაფართოების შესახებ. გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელის“ ცნობით, სამხედრო სამინისტრომ დიუპონის ფირმასთან დასდო ხელშეკრულება ჩარლსტოუნის (ინდიანის შტატი) დენთის ქარხნის გაფართოების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ქარხნის გასაფართოებლად დაიხარჯება 26 მილიონი დოლარი, რაც ამ საწარმოს გასაფართოებლად წინათ დახარჯულ თანხასთან ერთად 51 მილიონ დოლარს შეადგენს. იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სამხედრო სამინისტრომ 30 მილიონი დოლარი გადასდო იმისათვის, რომ გაფართოებულ იქნას ამავე ფირმის სამხედრო ქარხანა, რომელიც ვილმინგტონში არსებობს (დელავარის შტატი). გარდა ამისა, სამხედრო სამინისტრომ აღნიშნულ ქარხანას შეუკვეთა 11 მილიონი დოლარის ფეთქებად ნივთიერებათა დამზადება. წინათ ამ ქარხანას კიდევ 6 მილიონი დოლარის დაკვეთა ჰქონდა მიცემული.

გაზეთ „ბალტიმორ სენის“ ცნობით სამხედრო სამინისტრომ ბალტიმორის ფირმა „კომპრეს კომპანის“ დაუკვეთა 10 მილიონი დოლარის ლაფეტების დამზადება ორიათასი 37-მილიმეტრიანი ნახევრადავტომატური ქვემეხებისთვის. გარდა ამისა, ამავე ფირმას მიეცა 3,5 მილიონი დოლარის დაკვეთა.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სამხედრო სამინისტრომ 10 მილიონი დოლარი გასცა იმისათვის, რომ გაფართოებულ იქნას ფირმა „ბოინგ აირკრაფტ კომპანის“ საავიაციო ქარხანა, რომელიც სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) არსებობს.

სამხედრო საწარმოთა აგებაზე დადებული ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ, რომ მთავრობა მშენებლობის ღირებულებას 5 წლის განმავლობაში აანაზღაურებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მეწარმემ ქარხანა მთავრობას უნდა დაუბრუნოს ან-და შეუძლია იყიდოს იგი დათქმულ თანხად, ამორტიზაციის გამოკლებით.

ბულგარელი მეცნიერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ

სოფია, 19 ოქტომბერი (საქდესი). ბულგარელმა მეცნიერმა, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გერასიმოვმა, რომელიც ამას წინათ სსრ კავშირიდან დაბრუნდა, ამ დღეებში გაზეთ „მირში“ გამოაქვეყნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისადმი მიძღვნილი სტატია.

„რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას, — სწერს ავტორი, — დიდი და ბრწყინვალე ისტორია აქვს... აკადემიამ თავისი განვითარების 2 ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი დაკავშირებულია აკადემიის ლენინგრადში არსებობასთან, მეორე კი—სსრ კავშირის დედაქალაქში — მოსკოვში არსებობასთან. მეორე ეტაპს, თუმცა იგი ხანმოკლეა, ახასიათებს მეცნიერებათა აკადემიის მთელი მუშაობის უდიდესი აღმავლობა. საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შეჰქმნა აკადემიისა და მისი ინსტიტუტების წარმატებით განვითარებისათვის. არ არსებობს ტექნიკის ისეთი დარგი, რომელიც აკადემიის მეცნიერულ შრომებთან დაკავშირებული არ იყოს. დღეს მეცნიერება საბჭოთა ტექნიკის ძირითადი მამოძრავებელია. ეს კარგად ესმით საბჭოთა ხალხის ბელადებს და არც მატერიალურ, არც მორალურ საშუალებებს არ ზოგავენ სსრ კავშირში მეცნიერების კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის“.

აღნიშნავს რა, რომ აკადემია მსოფლიო სახელის მქონე მრავალ დიდ მეცნიერს აერთიანებს, ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ ძველი აკადემიკოსები მეცნიერთა ახალი კადრების გამოზრდას უდიდეს ყურადღებას აქცევენ.

ავტორი დაწვრილებით აგვიწერს იმ ხელსაყრელ პირობებს, რომლებიც ახალგაზრდა მეცნიერი კადრების აღზრდისათვის სსრ კავშირში არსებობს.

შვეციის პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტის ცნობით, სტოკჰოლმში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შვეციის მთავრობამ მითითება მისცა თავის დესპანს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოსტრომს პროტესტი განუცხადოს ამერიკის მთავრობას იმის გამო, რომ მან მოახდინა შვეციის მთავრობის მიერ ამერიკის საავიაციო კომპანიებისაგან შესყიდული 100-ზე მეტი თვითმფრინავის რეკვიზიცია.

კომპანისის დახვრეტა

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტის გადმოცემით, ესპანეთის დეპეშათა სააგენტო ადასტურებს ცნობას, რომ ესპანეთში დახვრიტეს კატალონიის ყოფილი პრეზიდენტი კომპანისი.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ

(თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა)

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო კრებამ ბიუროს განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და ახალ ბიუროს დაუსახა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში პარტბიურომ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა.

სერიოზული ყურადღება მიექცა პარტიაში მიღების გაუმჯობესების საქმეს. უკანასკნელი 7 თვის განმავლობაში პარტწევრობის კანდიდატად მიღებულია 10 ამხანაგი, წევრად—12. პარტკანდიდატებად მიღებულთაგან წამყვანი პროფესიის მუშა 7 კაცი, 3 ინჟინერია. პარტიაში მისაღებთა განცხადებებს გულდასმით იხილავენ პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე. პარტკანდიდატს ამხ. ა. სუხოვს უარი ეთქვა წევრად მიღებაზე, რადგან მან თავი ვერ გამოიჩინა პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, თანაც თავშეუკავებელია; გარდა ამისა, არ გასცნობია პარტიის წესდებას და პროგრამას.

პარტბიურომ გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი საამქროთა პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობას. ხშირად ისმენდა თავის სხდომებზე საამქროთა პარტორგანიზაციების მუშაობის საკითხებს, უსახავდა მათ პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშაობისათვის. ეხმარებოდა პარტიული მეურნეობის მოწესრიგების საქმეში. 19 მარტს ბიურომ განიხილა № 4 საამქროს მუშაობის საკითხი და საამქროს პარტორგანიზაციასაც დაუსახა მუშაობის ამოცანები. პარტორგანიზაციამ გააუმჯობესა მუშაობა. ახლა ამ საამქროში უშუალოდ წარმოებაში მომუშავე ყველა კომუნისტი სტახანოველია.

პარტბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე ისმენენ სამეურნეო მუშაობის საკითხებს. 17 ივნისს პარტბიურომ განიხილა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიმდინარეობა. ამ საკითხის მომზადებაში ფართო მონაწილეობა მიიღო პარტიულმა და სამეურნეო აქტივმა (მონაწილეობდა 11 ამხანაგი). ბიურომ დასახა კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა გატარებით მნიშვნელოვანი წარმატება იქნა მოპოვებული. გეგმით თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 3,3 პროცენტით. სინამდვილეში 9 თვის განმავლობაში პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 7 პროცენტით. აგრეთვე განიხილეს სასადილოს მუშაობის (რამდენჯერმე), მრავალდაზგოსნობის განვითარების და სხვ. საკითხები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტბიურო საკმაო ყურადღებას არ აქცევს ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის გატარებას; აქ იშვიათად ისმენენ დირექტორის მოხსენებას ქარხნის მუშაობის შესახებ.

სააგიტაციო მუშაობას ბიურომ იმთავითვე მიაქცია ყურადღება. ქარხნის აგიტკოლექტივი 33 აგიტატორს აერთიანებს. აგიტატორები სისტემატურად ატარებენ საუბრებს მუშა-მოსამსახურეთა შორის საამქროებში. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა პოპულარიზაციას. საუბრები უკავშირდება ქარხნის ცხოვრების კონკრეტულ საკითხებს, აგიტატორები საზოგადოებრივ აზრს რაზმავენ გამცდენთა და ფრენიების წინააღმდეგ. საუბრებში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა აგრეთვე წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და სხვა საკითხებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უყურადღებოდ არის მიტოვებული სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში. ეს საქმე თითქმის ჩაშლილია, რადგან გამოყოფილი 12 აგიტატორიდან საუბრებს მხოლოდ 1-2 ამხანაგი ატარებს.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კომუნისტები გულმოდგინედ იბრძვიან ავანგარდული როლისათვის წარმოებაში და თვალსაჩინო წარმატებებსაც მიაღწიეს ამ მხრივ. უშუალოდ წარმოებაში მომუშავე 52 კომუნისტიდან 46 სტახანოველია და 6 დამკვრელი. თავდადებული მუშაობის ნიმუშებს იძლევა მრავალდაზგოსანი ვ. კვატაშიძე, იგი დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს; ასევე კარგად მუშაობენ მრავალდაზგოსანი ხარატი ვ. ამირგულოვი, ნ. გერმისაშვილი (საამქროს პარტბიუროს მდივანი), მჭედელი სტ. დომბროვსკი და სხვ.

პარტიული ორგანიზაციისა და თვითეული კომუნისტის ენერგიული მუშაობის შედეგად ქარხანა გეგმებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს.

მაგრამ ამ პარტიულ ორგანიზაციას მიღწევებთან ერთად ნაკლიც აქვს მუშაობაში. ჯერაც არ არის მთლიანად განხორციელებული საანგარიშო კრების დადგენილება პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესების შესახებ. უნდა ითქვას, რომ პარტიული პროპაგანდა ვერ არის სათანადოდ დაყენებული. პარტბიუროს მდივნის ამხ. ი. გუკასოვის ცნობებით, პარტიის ისტორიას დამოუკიდებლად სწავლობს 85 ამხანაგი, პარტისტორიის შემსწავლელ ძირეული რგოლის წრეებში კი მეცადინეობს 30 კაცი. სინამდვილეში მთელი რიგი ამხანაგები არ სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს" (ვასილიევი, ერემოვა, ჭირიანაშვილი და სხვ.), 26 ამხანაგი I და II თავის შესწავლას არ გასცილებია, ხოლო 22 კაცი დღემდეც III თავზე მეცადინეობს. პარტბიურო არასაკმაო დახმარებას უწევს პარტისტორიის შემსწავლელთ. 7 თვის განმავლობაში მხოლოდ 5 ლექცია ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე, ჯგუფური კონსულტაცია კი მხოლოდ 3-ჯერ მოეწყო; კონსულტანტად მხოლოდ 1 კაცია გამოყოფილი, რაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

სუსტად არის დაყენებული მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაც. საანგარიშო კრების შემდეგ პარტიული კრების მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულების შემოწმების მხოლოდ 2-3 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. დღემდე არ შეუმოწმებიათ, თუ როგორ ხორციელდება საანგარიშო კრების მიერ დასახული ღონისძიებანი. მართალია, გამოყოფილია შემმოწმებელი კომისია, მაგრამ მას ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ორჯონიკიძის სახ. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ლ. ჯავახაძე

ძირეული პრესის მუშაკთა თათბირი

19 ოქტომბერს ბათუმის მასწავლებლის სახლში შესდგა გაზ. „კომუნისტისა" და „საბჭოთა აჭარის" რედაქციების მიერ მოწვეული ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფკორთა თათბირი რაიონული გაზეთების რედაქტორებთან ერთად.

თათბირმა მოისმინა ამხ. ლ. ჯავახაძის მოხსენება თემაზე „საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რაიონული გაზეთების შესახებ და მუშსოფკორთა შორის მუშაობის ამოცანები" და აგრეთვე ბათუმის საორთქლმავლო დეპოს კედლის გაზეთ „რეგულატორის" რედაქტორის მოადგილის ამხ. ი. ლონტის და აჭარის ასსრ მიწსახკომის კედლის გაზეთ „სოციალისტური მიწათმოქმედების" რედაქტორის მოადგილის ამხ. ს. ბერეჟიანის მოხსენებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა განხორციელებისათვის აღნიშნული გაზეთების ბრძოლის შესახებ.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ი. სუთიძე (ქედის რაიონული გაზეთის რედაქტორი), ვ. ბუაძე (ხულოს რაიონული გაზეთის რედაქტორი), აკოფოვი (სამკერვალო ფაბრიკა), ორაგველიძე (სახანძრო რაზმი), მ. გოგიბერიძე („საბჭოთა აჭარის" რედაქცია).

როგორც მომხსენებელმა, ისე მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ აჭარის რაიონულ და ძირეულ პრესას გარკვეულ მიღწევებთან ერთად ჯერ კიდევ აქვს მუშაობაში ნაკლი. რაიონული გაზეთების მუშაობაში სათანადოთ ჩაბმული ვერ იყო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივი და საბჭოთა სოფლის ინტელიგენცია, რის გამო ხშირად გაზეთები კეთდებოდა უმთავრესად რედაქციის შტატის მუშაკთა მიერ. ზოგიერთ გაზეთში ადგილი ჰქონდა ერთ ნომერში ერთი და იმავე ავტორის 2-3 წერილის მოთავსებას.

ამასთანავე აღინიშნა, რომ კედლის გაზეთების რედაქტორთა და მუშსოფკორთა მასობრივი დაუსწრებელი სწავლების საქმე ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული, მასობრივი სწავლების ერთწლიანი კურსები ჩამოყალიბებულია, მაგრამ კონსულტაციები ზოგან სისტემატურად არ ტარდება. მაგალითად, ხულოს რაიონში კონსულტაცია ჩატარდა ოთხჯერ, სამჯერ კი ჩაიშალა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ი. რუხაძემ. თათბირის შედეგებს განიხილავს პარტიის საოლქო კომიტეტი და სათანადო მითითებებს მისცემს რაიონულ გაზეთებსა და პარტიულ ორგანიზაციებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

სილიბისტრო გუდუს-ძე ფარცვანია, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2855941 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; მიხეილ ისაკის-ძე **ჩიკოშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2855975 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის, არშაკ ლაზარის-ძე **ნურალაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1531640 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; რუბენ დავითის-ძე **საფარიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2863421 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; აბრამ კარაპეტის-ძე **კეიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 3307526 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; მათევოს ათანასეს-ძე **არევიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2862212 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; შალვა გიორგის-ძე **ხირბილაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681804 — ხულიგნობისათვის; არჩილ ილიას-ძე **დვალიშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 1522297 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; აბრამ სოსის-ძე **სიფრაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2859118—როგორც სახალხო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის.

უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

მახარაძელი კოლმეურნეები სამშობლოში გამოემგზავრნენ

კიევი, (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). 18 ოქტომბერს მახარაძელი კოლმეურნეები, რომლებიც გენიჩესკის რაიონში იყვნენ, სამშობლოში გამოემგზავრნენ. სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბევრი კოლმეურნეობის მეურნეობას გაეცნენ. ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში ისინი გაეცნენ ვენახების მდგომარეობას და ურჩიეს კოლმეურნეთ, ვაზის გამოზამთრებისათვის შპალერული გასხვლის მეთოდი. კოლმეურნეობა „კრასნი ჩონგარში" მათ ნახეს ჩორთის ცხენები, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე რეკორდისტი ძროხები და საშემოდგომო ნათესები, უამბეს უკრაინელ ამხანაგებს თავიანთ მიღწევებზე. ორდენოსანმა მეწყემსმა ს. ზელენსკიმ უამბო სტუმრებს, რომ იმ ადგილას, სადაც ამჟამად კოლმეურნეობაა, სწარმოებდა ბრძოლები ვრანგელთან.—ჩვენი მიწა უხვად მორწყულია პარტიზანების სისხლით. ახლა აქ იფურჩქნება ახალი ცხოვრება და ნამდვილი ბედნიერება,—სთქვა მან.

ქართველი კოლმეურნენი იყვნენ კოლმეურნეობა „ნოვი აზოვში", რომელმაც ჰექტარზე 22,8 ცენტნერი ხორბლის მოსავალი მიიღო. 18 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. კლიმენკოს, პარტიის რაიკომის წარმომადგენლის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანხლებით მახარაძელები მივიდნენ სადგ. დონზე. მათ 300-ზე მეტი კოლმეურნე აცილებდა. გამოსამშვიდობებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ვ. ჩხაიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა უკრაინელებს გულთბილი შეხვედრისათვის. გენიჩესკელებმა გამოაცილეს მატარებელი შეძახილებით: „გაუმარჯოს მზიურ საქართველოს, დიდი ბელადის სამშობლოს! გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!"

უკრაინის გაზეთები ფართოდ აშუქებენ შეჯიბრებას. გაზ. „კომუნისტმა" დაბეჭდა ქართული „კომუნისტის" რედაქციის სტატია. „სოვეტსკაია უკრაინამ" მოწინავე სტატია უძღვნა უკრაინისა და საქართველოს მეგობრობას. გაზეთმა მოათავსა აგრეთვე ჩრდილოეთ ბუკოვინის სოფ. ჩაგორის გლეხების წერილი, რომლებიც სწერენ: „უკრაინელი ხალხის დიდი მგოსანი ტარას შევჩენკო თქვენი კავკასიის შესახებ სწერდა:

„მთების იქით მთები,
შებურვილი ნისლით,
მწუხარებით სავსე
და მორწყული სისხლით".

ასევე ჩვენი კარპატის მთები და მთელი ბუკოვინა მორწყული იყო მშრომელთა სისხლით. მაგრამ დაჰკრა ანგარიშის გასწორების ჟამმა. 28 ივნისს წითელმა არმიამ გაათავისუფლა ბუკოვინის გლეხები რუმინელ ბოიარინთა უღლისაგან". ბუკოვინელი გლეხები ასე ამთავრებენ წერილს: „თქვენი რესპუბლიკა დიდი სტალინის სამშობლოა. ჩვენ გვინდა მეტი ვიცოდეთ ამ მშვენიერ ქვეყანაზე, მისი ხალხის სისხლსავსე ცხოვრებაზე. გთხოვთ გვეწვიოთ სტუმრად ოქტომბრის დღესასწაულზე. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩრდილოეთ ბუკოვინაში, ძვირფასო მეგობრებო!"

ბ. აბულაძე

რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

მახარაძე, (საქძესი). სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა ახალი რადიოკვანძის მშენებლობა. 16 ოქტომბერს კვანძი ზეიმით გაიხსნა. 120 კოლმეურნეთა სახლში უკვე გაყვანილია რადიოწერტები. კვანძის გახსნის დღეს კოლმეურნეებმა რადიოგადაცემები მოისმინეს თბილისიდან და სსრ კავშირის სხვა ქალაქებიდან.

უახლოეს დღეებში სოფელ შრომას ყველა კოლმეურნის ბინებში გაყვანილი იქნება რადიოწერტი.

რადიოკვანძის საზეიმო გახსნის შესახებ კოლმეურნეობის გამგეობამ აცნობა ამავე კოლმეურნეობასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობას.

რადიოკვანძის საზეიმო გახსნას დაესწრო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ა. თოფურიძე და საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივნები — ამხ. ბ. ყურაშვილი და ე. ტაკიძე.

გორი ეკატერინოპოლის რაიონს ეჯიბრება

გორი (საქ. კორ.). ეს იყო 1939 წელს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მზადების დღეებში გორის რაიონის მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს უკრაინის სსრ კიევის ოლქის ეკატერინოპოლის რაიონის მუშები, კოლმეურნეობები და საბჭოთა ინტელიგენცია.

მას შემდეგ ერთ წელზე მეტმა დრომ განვლო. ეკატერინოპოლის რაიონის მშრომელებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი გორის რაიონის მშრომელებმა ძირითადად შეასრულეს: რაიონის კოლმეურნეობებში მოეწყო მეცხოველეობის ფერმები, წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გაძლიერდა თავდაცვითი მუშაობა. მოწინავე კოლმეურნეობებმა გაზარდეს მოსავლიანობა.

გორის რაიონიდან 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაგზავნილ იქნა სოფლის მეურნეობის 92 მოწინავე, 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა რაოდენობამ 173-მდე მიაღწია. წელს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში კარგი წარმატებები მოიპოვეს სოფ. ზემო-სკრის, ახალხიზის, დიდოხერას და ნადარბაზევის კოლმეურნეობებმა, სადაც ჰექტარზე საშუალოდ 300-400 ცენტნერ მოსავალს იღებენ.

აყვავებული უკრაინის მშრომელებთან შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები გორის საკონსერვო ქარხანამ ბრწყინვალედ შეასრულა. შარშან გორელმა მეკონსერვეებმა 6.298 ათასი პირობითი ქილა კონსერვი მისცეს ქვეყანას, წლიური გეგმის 119,4 პროცენტი, წელს კი გეგმის ზევით გორის საკონსერვო ქარხანა ერთ მილიონ ქილა კონსერვს უშვებს.

ამ წარმატებათა მოპოვებაში ცოტა ღვაწლი როდი მიუძღვის გორის რაიონულ გაზეთ „სტალინელის" რედაქციას და მუშსოფკორებს, რომლებიც გასული წლის ოქტომბრიდან ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში უკრაინის სსრ ფასტოვის რაიონის მუშსოფკორებთან.

გაზ. „სტალინელი" გამოვიდა 1941 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების და წინასაოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად. გორის მტს-ში, ბერბუკის, ზემო - სკრის და პატარა-ატენის კოლმეურნეობებში გასულ წელს „სტალინელმა" ძირეული პრესის 40 მუშაკი გადაამზადა. რედაქციის მუშაკთა დახმარებით მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაუმჯობესდა კედლის გაზეთების მუშაობა. გაზეთი რაზმავდა და რაზმავს კოლმეურნეობებს მაღალ მოსავლიანობისათვის ბრძოლაში. ამის შედეგად „სტალინელი" სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა.

მოპოვებული წარმატებანი მოძმე უკრაინელებთან სოციალისტური შეჯიბრების ძალისა და ძლიერების შედეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერა „კაკო ყაჩაღი" ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში. სურათზე: „კაკო ყაჩაღის" მეოთხე სურათის დეკორაცია.

ოპერა „კაკო ყაჩაღის" მეორე სპექტაკლი

20 ოქტომბერს ოპერა „კაკო ყაჩაღში" თამაშობდა მეორე შემადგენლობა. მზიას როლს ასრულებდა თ. ლაპიაშვილი, კაკოს—დ. გამრეკელი, ზაქროს—მ. ყვარელაშვილი, ზაქროს მამის როლს—ა. ბუთხუზი.

სპექტაკლს დიდძალი ხალხი დაესწრო. მაყურებლებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს სპექტაკლის ავტორები და შემსრულებლები.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ა. თოფურიძე, ი. თავაძე, ს. ხოშტარია, ს. იშხანოვი, ა. მირცხულავა, ბ. გოგუა.

ჩემი კაკო

გვიან მომიხდა ამ საპასუხისმგებლო როლის შესრულებაზე მუშაობის დაწყება, მაგრამ მე შევეცადე კაკო სრული გულწრფელობით განმესახიერებინა. თვით ტიპი კაკოსი ჩემთვის გასაგებია და გარკვეული. მისი მუსიკა ადვილად ასათვისებელია და საინტერესო. ყველაფერი ეს მაძლევს სრულ რწმენას, რომ ჩემი კაკო იქნება ვაჟკაცური, მებრძოლი და შეუდრეკელი, სწრაფი და ცეცხლოვანი, რასაც თვით მუსიკაც გარკვევით გამოხატავს. მიყვარს კაკოს ხალხური ენა და მისი გრძნობები. ვფიქრობ, ეს როლი ჩემს შემოქმედებაში სრულქმნილი და საყვარელი იქნება.

დ. გამრეკელი
ორდენოსანი მსახიობი.

ზაქროს სახე

კომპოზიტორმა ა. ანდრიაშვილმა ილია ჭავჭავაძის ძვირფას მასალაზე მუსიკალურად მეტად მდიდარი და მიმზიდველი ნაწარმოები შექმნა. მთლიანად ოპერის შეფასებას მე არ შევუდგები. ეს მაყურებლისათვის მიგვინდვია. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მხოლოდ ზაქროს პარტიის შესრულების შესახებ, რაც მე მხვდა წილად.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეს მოცემული აქვს ახალგაზრდა მებრძოლი, რომელიც ბატონზე შურისძიების შემდეგ შეუერთდება ტყედ გაჭრილ კაკო ბლაჭიაშვილს. მებრძოლის ეს ტიპი ოპერაში დასრულებულად და მკვეთრად არის გამოყვანილი. კომპოზიტორის მიერ ზაქროსათვის შექმნილი მუსიკალური ფაქტურა მეტად მიმზიდველია და დიდ გასაქანს აძლევს მომღერალს შემოქმედებისათვის. მე დიდი სიამოვნებით ვასრულებ ზაქროს პარტიას, ვცდილობ ამ პარტიის შესრულებაში ჩემი ზაქრო ჩამოვაცილო ჩვეულებრივ ოპერულ შტამპს და მსურს განვასახიერო მებრძოლის რეალისტური სახე.

მ. ყვარელაშვილი
ორდენოსანი მსახიობი.

მზიას როლი

ახალგაზრდა ნიჭიერმა კომპოზიტორმა ა. ანდრიაშვილმა შექმნა ახალი ქართული ოპერა „კაკო ყაჩაღი". ამ ოპერაში ნაჩვენებია კახეთი თავისი სილამაზითა და სიმშვენიერით. ეს არის კუთხე, სადაც მე დავიბადე და ჩემი ბავშვობა გავატარე. ამიტომ არის, რომ განსაკუთრებული სიყვარულით და მონდომებით მოვკიდე ხელი მზიას პარტიის შესწავლას. მზია არის ახალგაზრდა გლეხის ქალი, ზაქროს სატრფო, რომელიც თანაუგრძნობს ზაქროს ჭირვარამში და მონაწილეობს გლეხთა აჯანყებაში. მზიას სახის შექმნისათვის ღრმად გავეცანი კახეთის იმდროინდელ ცხოვრებას. მუშაობის პროცესში, როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად დიდ დახმარებას მიწევდნენ რეჟისორი ყუროული და დირიჟორი დიმიტრიადი, რომლებმაც დიდი შრომა და ენერგია მოანდომეს მთლიანად ამ ოპერის დადგმას. ჩემის მხრივ მთელი ენერგიითა და ენთუზიაზმით ვმუშაობდი მზიას სახის სრულყოფისათვის.

თამარ ლაპიაშვილი
მსახიობი.

მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მზადება

ორდენოსანი საქართველოს პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი გაცხოველებით ემზადებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის. ამ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით გამოცემული იქნება ბროშურები: „პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებანი 20 წლისთავზე" (მიმოხილვა-ცნობარი), „საბიბლიოთეკო საქმე სსრ-ში 20 წლისთავზე".

შედგენილი და გამოცემული იქნება გამოფენა-პლაკატი, რომელშიც ასახული იქნება ორდენოსანი საქართველოს მიერ 20 წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებანი. საქართველოს 15 კულტსახლსა და სარაიონო კლუბში მოეწყობა ლენინ-სტალინის ოთახები, გამოცემული იქნება 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციების თემატიკა, სალექციო-საექსკურსიო ბიურო ჩაატარებს 350 ლექციას, შედგენილი იქნება ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. საკლუბო დაწესებულებებში მოეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მხატვრული საღამოები, მოხსენებები და სპეციალური ლექციები.

ყველა მასობრივი ბიბლიოთეკა მოაწყობს ლიტერატურის გამოფენას, სამხარეთმცოდნეო მუზეუმებსა და საკლუბო დაწესებულებებში მოეწყობა სოციალისტური მშენებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები, წიგნის პალატა გამოსცემს ბროშურას, რომელშიც ასახული იქნება საქ. სსრ ბეჭდვითი სიტყვის განვითარება 20 წლის განმავლობაში. თბილისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა გამოსცემს წიგნს „სტალინი მხატვრულ ლიტერატურაში" და მოაწყობს ლიტერატურის დიდ გამოფენას, საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბის" სპეციალური ნომერი მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავს.

გიორგი ლეონიძე
საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი

ახლად აღმოჩენილი მოგონებანი დიმიტრი ყიფიანისა ნიკოლოზ ბარათაშვილზე

დღემდე ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის მთავარ წყაროდ, რომელსაც მისი ბიოგრაფები ეყრდნობოდნენ—იყო პოეტის მეგობრის კონსტანტინე მამაცაშვილის (1815-1893) მეტად სანდო, ძვირფასი ცნობის შემცველი მცირე მოგონებანი, გამოქვეყნებული 1881 წელს, გაზეთ „დროებაში". ამას გარდა, სხვა არავითარი მემუარული ნაწერები ბარათაშვილზე არ არსებობდა.

ჩვენდა სასიხარულოდ, წელს აღმოჩნდა მეორე მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ბარათაშვილის ცხოვრების შესახებ, — მოგონებანი დიმიტრი ყიფიანისა, დაწერილი ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 36 წლის შემდეგ, რომელიც მამაცაშვილის მოგონებებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მთელი 16 წლით (დაწერილია 1865 წელს, 5 აპრილს).*) ხსენებული დოკუმენტი შესაფერი შენიშვნებით იბეჭდება საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის კრებულ „ლიტერატურულ მატიანეში", რომელიც ამ დღეებში გამოვა. ახლა კი ხსენებულ დოკუმენტს შემოკლებით ვაცნობთ „კომუნისტის" მკითხველებს. დოკუმენტი პირად წერილს წარმოადგენს. იგი მიმართულია დიმიტრის ვაჟის ნიკოლოზ ყიფიანისადმი (1846-1903), უკანასკნელის შეკითხვაზე პეტერბურგიდან, თუ „ვინ იყო ნიკ. ბარათაშვილი, რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა". აი თვით დოკუმენტიც:

* * *

...„გადავალ შენს კითხვებზე ნიკოლოზ ბარათოვის შესახებ: ვიცნობდი მას თუ არა და სხვა მისიანებს. — ვიცნობდი მას ძალიან ახლო, — და გიამბობ ყველაფერს, რაც მე მასზე ვიცი.

ჯერ ერთი — სიცოცხლეში მას სხვანაირად არ ეძახდნენ, თუ არა ტატო ბარათაშვილი.—იგი ღვიძლი დისწული იყო გრ(იგოლ) დიმ(იტრისძე) ორბელიანისა. — მის მამას — მელიტონ ბარათოვს არა ჰქონდა არავითარი მამული, არავითარი საკუთრება და საკმაოდ დიდ ოჯახს იგი ინახავდა მხოლოდ ჯამაგირით. რასაც იღებდა, მხარის უფროსთა თარჯიმნის წოდების მიხედვით, დაახლოებით 900 მან. ტატო ერთადერთი ვაჟი იყო მისი, პატარა, ტანდაბალი, ნოლაცხვირიანი, მაგრამ მეტისმეტად უანგარო, მიუხედავად გაჭირვებისა ყველაფერში, და ყოველთვის მზადმყოფი დახმარებოდა გაჭირვებულს, რითაც კი შეეძლებოდა. აღზრდა-განათლება მიიღო არც თუ ბრწყინვალე: კეთილშობილთა ყოფილ სასწავლებელში იგი ჩამორჩებოდა მე მგონია ორი კლასით ასაკის გამო; მერე გადავიდა გიმნაზიაში და გამოვიდა, მგონია, მე-5 კლასიდან; გამოვიდა იმისათვის, რათა სამსახურში შესულიყო და რათა თავისი ჯამაგირით რამოდენადმე შეემსუბუქებინა მამისათვის ოჯახის შენახვა.

უფროსები იცნობდნენ მას, როგორც შესანიშნავ მოცეკვავეს ლეკურისას, რასაც იგი აზრით ჰმოსავდა.

მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ართობდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებზე. მისი ლექსები იკითხებოდა ყოველთვის ამხანაგთა და ნათესავთა წრეში. მისი მოსაქენი ყველაზე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი) და აი, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში. გავიმეორებ ანეკდოტს, რომელიც ჩემგან არა ერთხელ გაგიგია. ერთ-ერთ საღამოზე იმ ჩემ მარტოხელურ საღამოთა შორის, რომელშიაც ხანდახან მონაწილეობას ჩვენი წინამორბედი თაობის ადამიანებიც იღებდნენ, როგორიც მაგალითად: განსვენებული ანდრია ხერხეულიძე და თითქმის განსვენებულთა სწორი — სახელოვანი ისფლათუნ,—*) ანდრია ხერხეულიძემ შემდეგი კითხვა მისცა მომხიარულე კომპანიას: ამბობენ, ბერძნებში ყველას თავ-თავისი ღ-თი ჰყავდაო და ერთი მითხარით, ვირების ღ-თი ვინ იყოო.—ტატოს სიცილი წასკდა იმ მწვავე მახვილი სიტყვის გამო, რომელმაც თავში გაუელვა, მაგრამ უმალვე სერიოზული სახე მიიღო და, მიუთითა რა პლატონზე, სთქვა, რომ ამაზე მან უნდა ვკითხოთ: „ჩვენში ხომ ეგ არის ბოგოსლოვიო" (ბოგ ოსლოვ) *) ამლო კი მთელმა კომპანიამ იგრიალა ჰომერული სიცილით. პლატონი გაჯავრდა ხუმრობა - გაშვებით და ყველას მან „დურაკები" გვიწოდა. — „ეგ კიდევ მადლობა ღმერთს,—უპასუხა სიცილით ტატომ,—რაც უნდა იყოს, ის, ხომ არ ითქმის, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშ ვიყვენით". მას იქით ამ ვაჟბატონს კარგა ხანს სხვა სახელი არა ჰქონდა, თუ არა ბოგ ოსლოვ.

ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას, — თბილისში იგი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს.

მაგრამ გაჭირვებამ აიძულა იგი მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე წასულიყო ელისავეტპოლში, სადაც ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ჰავამ იმსხვერპლა. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მშობლები უფრო ნაკლებად დამწუხრებულიყვნენ მასზე, ვიდრე მისი მეგობრები და ნაცნობები; მაგრამ მე მგონია—ეს ასე იყო. არ ვიცი, გინახავს თუ არა როდისმე კნიაჟნა ბარათოვა, რომელიც დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს. იგი ღვიძლი და ტატოსი—და ისინი გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. მშობლებმა კიდევ ბევრ წელს იცოცხლეს მის შემდეგ—ახლა ცოცხალია მხოლოდ ორი და; ერთი მათგანი ცოლად ჰყავს დიმიტრი ვიზიროვს ოსიაურელს; მეორე — ბარათოვსვე; მესამე ჰყავდა რევაზ ერისთავს, — რომლისაგანაც მიეცა კოლია, დათიკოსთან *) რომ იზრდება,—და გარდაიცვალა.

აი, ყოველივე ის, რის გახსენებაც შევძელი შენი ცნობისმოყვარეობისათვის ჩვენს პოეტ ნიკოლოზ ბარათოვზე. ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა,—თუ გამოვაკლებთ ხერხ(ეულიძეს) და პლატ(ონს)—შესდგებოდა მთლად პოეტებისაგან; მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულია ერთად-ერთ წიგნაკში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბ(ელიანს), რომელიც მათ გულღიად იღებდა და, როგორც პატივცემული დედაკაცი, ახალისებდა მათ ამგვარ შრომისათვის. ეს წრე დაიშალა ტატოს სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიქცნენ საქმის კაცებად, რომლებშიაც, ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ ოდესმე შევრდომილი იყო სხივი პოეზიისა. მაგრამ ქართველები, სულ ოდნავ მცოდნენი წერა-კითხვისა, მაშინ მაინც ყველა პოეტი იყო, ახლა — სულ სხვაა".

* * *

ეს პატარა წერილი მეტად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად.

ჯერ-ერთი, იგი ეკუთვნის თვით პოეტის მომსწრეს და ისიც ცნობილ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს და არა შემთხვევით მემუარისტს. მეორეც — დიმიტრი ყიფიანი იყო არა მარტო ბარათაშვილის სკოლინდელი ამხანაგი, არამედ მისი დაახლოებული პირადი მეგობარიც და თვით ბარათაშვილის სალიტერატურო წრის აქტიური წევრი. (1841 წ. დ. ყიფიანმა და ბარათაშვილმა წრეში ერთად წაიკითხეს თავისი თარგმანები, პირველმა—შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", მეორემ „იული ტარენტელი" ლეიზევიცისა).

უპირველესად, ძვირფასია დ. ყიფიანის ცნობა პოეტის გარეგნობის შესახებ. იგი პოეტის მომსწრის მეორე ოფიციალური ჩვენებაა. კ. მამაცაშვილის ჩვენებასთან ერთად, ყიფიანის მიერ მოცემულ ბარათაშვილის ფიზიკურ აღწერილობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რაკი პოეტის რეალური პორტრეტი დღემდე არ მოგვეპოვება.

საყურადღებოა ყიფიანის ჩვენებაც პოეტის პიროვნების შესახებ, რომ ის აგზნებული, ცოცხალი ადამიანი ყოფილა: მოსწრებული, მხიარული, თანაც უანგარო, გაჭირვებულთა დამხმარე და რაინდული თვისებებით შემკული.

ახალია აგრეთვე ყიფიანის ცნობა ბარათაშვილის „არც თუ ბრწყინვალე განათლების" შესახებ. ყიფიანის ცნობით, პოეტს არ დაუსრულებია სწავლა და გიმნაზიის მე-5 კლასიდან გამოსულა, რათა სამსახურში შესულიყო და შეემსუბუქებინა ოჯახის მძიმე, კატასტროფული მდგომარეობა.

და, ბოლოს დიდად საინტერესოა ყიფიანის ჩვენება შესახებ ბარათაშვილის სალიტერატურო წრისა, რომელიც სათავეში სდგომია 1840-იან წლების ქართულ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოძრაობას. ამ წრეში გაფურჩქვნილა ბარათაშვილის პოეტური ტალანტი. ბარათაშვილი ამ წრის ხელმძღვანელი ყოფილა.

არა ერთის მხრივ არი აღსანიშნავი ხსენებული წრის მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა. ასე, ამ წრის უმუშავნია ქართული მწერლობის ევროპეიზაციის ხაზით (შექსპირი ქართულად, პირველად ამ წრის თაოსნობით ითარგმნა, ლეიზევიცთან ერთად). ამ წრეში პირველად დასმულა საკითხი საქართველოს „რიგიანი" ისტორიის შედგენისა; და მასვე უმეცადინია ქართული თეატრის ჩამოყალიბებისა და პირველი ქართული ჟურნალის დაარსებისათვის.

ყველა ეს ცნობები ახალ ფურცელს შლის პოეტის და საზოგადო მოღვაწის — ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიაში.

---

*) დოკუმენტი აღმოჩნდა ცნობილი „მესამოციანელის" ილია ჭავჭავაძის ამხანაგის იაკობ პეტრეს-ძე ისარლიშვილის ოჯახში. დოკუმენტის გადმოცემისათვის მის მეუღლეს ანა კონსტანტინეს-ასულს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ავტორი.

*) პლატონ იოსელიანი.

*) ბოგოსლოვი—რუსულად—ღვთისმეტყველი. ბოგ ოსლოვ—ვირების ღმერთი.

*) დათიკო—დავით ყიფიანი, ცნობილი მესამოციანელი „საქართველოს მოამბის" თანამშრომელი, ლიტერატორი, კრიტიკოსი (იხ. „ცისკარი", 1863 წ., № 7, 9, 1864 წ., № 1). ჰქონდა კერძო პანსიონი, სადაც 60-იან წლებში მასწავლებლობდა გიორგი წერეთელი.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ბრძანება № 156

1940 წლის 19 ოქტომბერი

1. ა. წ. 23-დან 30 ოქტომბრამდე ქ. თბილისში ჩატარებულ იქნას ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის რაიონული სწავლება.

23 ოქტომბერს სტალინის სახელობის რაიონში
24 „ კიროვის სახელობის რაიონში
25 „ 26 კომისრის სახელობის რაიონში
26 „ ორჯონიკიძის სახელობის რაიონში
28 „ ბერიას სახელობის რაიონში
29 „ ლენინის სახელობის რაიონში
30 „ მოლოტოვის სახელობის რაიონში.

2. სწავლება დაიწყოს 19 საათზე. სწავლებაში ჩაბმულ იქნას რაიონის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ყველა ძალები და საშუალებანი.

3. ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს მოქალაქეთათვის ქცევის წესების შესასწავლად რაიონული სწავლების დღეებში „საჰაერო განგაშის" სიგნალი მიცემულ იქნას მთელ ქალაქში 19 საათზე. „საჰაერო განგაშის დამთავრების" სიგნალი მიცემულ იქნას 19 საათსა და 15 წუთზე.

4. ქალაქის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შუქშენილბვის სამსახურის უფროსმა ამხ. ბახტაძემ 23 ოქტომბრიდან ყოველდღე, განსაკუთრებულ განკარგულებამდე ქალაქის ქუჩების გაშუქება გადაიყვანოს განსაკუთრებულ რეჟიმზე.

სამრეწველო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო სარგებლობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება სწარმოებდეს ჩვეულებრივი წესით.

5. საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა, სანახაობითი საწარმოთა ყველა ხელმძღვანელებმა, სახლთა მმართველებმა და სამოქალაქო მოსახლეობამ მიიღონ ყველა საჭირო ზომები მათ მიერ დაკავებული სადგომების დასაბნელებლად, რისთვისაც გამოიყენონ შუქშენილბვის ნათურები სპეციალური არმატურით, ფარდები, დარაბები და მათი შემცვლელი საგნები.

6. ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით ვბრძანებ საჰაერო განგაშის სიგნალის მიცემამდე და განგაშის დამთავრების სიგნალის მიცემის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნას ქალაქის ყველა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს, დაწესებულების, სამკურნალოებისა და სასწავლებლების, აგრეთვე სანახაობითი საწარმოების შეუფერხებელი მუშაობა (სანახაობითი საწარმოებში საჰაერო განგაშის სიგნალით ამ სწავლების დროს არ განიტვირთოს მაყურებელთა დარბაზები).

შუქშენილბვისათვის კერძო ბინების მოუმზადებლობის შემთხვევაში, სახლთა მმართველებისა და ბინების დამქირავებელთა პირადი პასუხისმგებლობით კატეგორიულად ვკრძალავ სინათლის ყოველგვარი წყაროთი სარგებლობას (ელექტროენერგია, ნავთის ლამპები, სანთლები და სხვ.).

7. ქალაქის მთელი ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსები, ავტობუსები, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები) უზრუნველყოფილ იქნას შუქშენილბვის მოწყობილობით.

8. მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. გუჯაბიძემ სწავლების პერიოდში გააძლიეროს დაცვის სამსახური, მთლიანად უზრუნველჰყოს საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეებისა და ქალაქის ტრანსპორტის მიერ „საჰაერო განგაშის" სიგნალით საჭირო ქცევის წესების დაცვა ქალაქის ყველა რაიონში.

9. რაიონულ ფორმირებათა სამხედრო ვალდებულები, ობიექტების ფორმირებათა, თავდაცვის ჯგუფების, სანიტარული რაზმების, სანიტარული და სახანძრო საგუშაგოების, ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სამსახურის ფორმირებათა უფშემადგენლობა და რიგითი შემადგენლობა რაიონული სწავლების სათანადო დღეებში, რომლებიც ამ ბრძანების 1-ლ პარაგრაფშია აღნიშნული, გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტებზე თავიანთი პირდაპირი უფროსების მითითებით.

10. რაიონული სწავლების ხელმძღვანელობას ვაკისრებ ქალაქის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსს ამხ. ხურცილავას, მის მოადგილეს პოლიტნაწილში — ამხ. ანდღულაძეს და ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის საბრძოლო მომზადების უფროსს ამხ. გერშკოვიჩს.

11. „საშიში მდგომარეობის გამოცხადებისა და ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს მოქალაქეთა ქცევის წესების შესახებ" მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წლის 28 მაისის № 13/8 სავალდებულო დადგენილების ყველა დამრღვევის მიმართ მიღებულ იქნას ადმინისტრატიული და სასამართლო ზეგავლენის ზომები და უყოვნებლივ მომხსენდეს მე პერსონალურ დამრღვევთა შესახებ.

12. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაეცეს რადიოთი ქალაქის მთელი მოსახლეობის საყურადღებოდ.

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უფროსი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კოჩლამაზაშვილი**

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის პარტრწმუნებული, საქ. კ. პ (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **ჩერქეზიშ**

ქ. თბილისის ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბის უფროსი **ხურცილავა**

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა

გერმანია-იტალიასა და ინგლისს შორის წარმოებული ომის გამოცდილება ფრიად საგულისხმოა.

გერმანიასა და ინგლისს შორის ომს ამჟამად ახასიათებს სამხედრო-საჰაერო ძალების ორთაბრძოლა. ამ ბრძოლაში თვითეული მხარე ცდილობს მოსპოს მოწინააღმდეგის რეზერვები.

საავიაციო ტექნიკის თანამედროვე განვითარება სამხედრო-საჰაერო ძალებს საშუალებას აძლევს აწარმოონ დამოუკიდებელი ოპერაციები, გაანადგურონ მტრის უმნიშვნელოვანესი სამხედრო ობიექტები, დეზორგანიზაცია შეიტანონ ზურგის მუშაობაში და დემორალიზაცია მოსახლეობაში, იმსხვერპლონ რაც შეიძლება მეტი ადამიანები და უსახლკაროდ დასტოვონ ათიათასობით მოქალაქე.

მეომარი ქვეყნების უმნიშვნელოვანეს პუნქტებში ავიასაზენიტო თავდაცვის ძლიერი სისტემა კი არ სპობს, არამედ ასუსტებს საჰაერო ბომბარდირების დიდ საფრთხეს.

თანამედროვე ომში საჰაერო თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საავარიო-აღმდგენი და მაშველი რაზმების კარგად მომზადებულ კადრებს მნიშვნელოვნად შეუძლიათ შეამსუბუქონ საჰაერო თავდასხმის შედეგები.

საერთაშორისო ვითარება ამჟამად მეტად გართულებულია და ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** მითითება იმის შესახებ, რომ „საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ" და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს"...

სსრ კავშირის მტრებთან ბრძოლებში ძლევამოსილი ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის საბრძოლო უნარის გაძლიერებასთან ერთად, ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვაც. თვითეულ სამრეწველო საწარმოს, თვითეულ დაწესებულებას და საცხოვრებელ სახლს, საჰაერო თავდასხმის შედეგთა დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისათვის უნდა ჰყავდეს ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის მომზადებული კადრები.

თვითეულ ქალაქში უნდა მზადდებოდეს მეთაურებისა და მებრძოლების, სანიტარების, დეგაზატორების, კომუნალური მეურნეობის აღმდგენების, მეხანძრეებისა და სხვა სპეციალისტების ძლიერი არმია. თვითეული სახლი, თვითეული ფაბრიკა უნდა გადაიქცეს ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ციხე-სიმაგრედ. ქალაქ თბილისის ყოველი მოქალაქე ვალდებულია ბეჯითად იცოდეს და ზუსტად ასრულებდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას „საშიში მდგომარეობის გამოცხადებისა და ქალაქზე საჰაერო თავდასხმის დროს მოქალაქეთა ქცევის წესების შესახებ".

უახლოეს დღეებში ქალაქ თბილისში ჩატარდება ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სწავლება. ეს იქნება ჩვენი ორგანიზებულობის, ჩვენი წარმატებების დათვალიერება თავდაცვითი მუშაობის ერთერთ საპასუხისმგებლო უბანზე. ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ყველა მეთაურმა და მებრძოლმა, ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ყველა მოქალაქემ უნდა გვიჩვენოს თავისი დისციპლინირება, თავისი მზადყოფნა დაიცვას თავისი ქალაქი, სწავლების პირობებში ტექნიკური და ტაქტიკური სისწორით ლიკვიდაცია უყოს საჰაერო თავდასხმის შედეგებს.

ი. გერშკოვიჩი

მეჯიბრება გზატკეცილზე

20 ოქტომბერს ჩატარდა საგზატკეცილო ველომარულა თბილისის პირველობაზე. შეჯიბრებას პირველნი იწყებენ ვაჟები სასპორტო მანქანებით 50 კილომეტრის დისტანციაზე

სწორე გზატკეცილზე ქრთიმეორის მიყოლებით მიჰქრიან ველოსპორტსმენები. ამინდი სერიოზულად უშლის ხელს მარულას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დინამოელი საფრონოვი ფინიშთან მიდის საქართველოს ახალი მიღწევით. მისი დროა 1 საათი და 28 წუთი 58,7 წამი, ამავე დისტანციაზე საგზაო მანქანებით შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა კ. ხუციშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი). მისი დროა 1 საათი 54 წუთი 25,3 წამი.

ქალების შეჯიბრება ჩატარდა 20 კილომეტრის დისტანციაზე. კარგად ჩაატარა მარულა სასპორტო მანქანით ნ. შიუკაშვილმა (ფიზკულტურის ტექნიკუმი). მისი შედეგია 45 წუთი 04,2 წამი.

საგზაო მანქანებით შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა კ. ევგრაფოვა („დინამო"). დრო—51 წუთი 29,4 წამი

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სულ 36 კაცმა. 27 ოქტომბერს ჩატარდება მასობრივი ველო-კროსი.



აღმოსავლეთ და დასავლეთ შხარას მწვერვალებს შორის მთავარი ქედის თოვლიანი თხემით გადადიან ექსპედიციის მონაწილენი.

ფოტო ალ. ჯაფარიძისა

ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ტრავერსი ბრწყინვალედ დამთავრდა

კავკასიონის მთაგრეხილის ცენტრალური ნაწილი, რომელიც საქართველოს ეკვრის, ჯერ მთლიანად არავის გაუვლია. იყო რამდენიმე ცდა ამ მთაგრეხილის სხვადასხვა უბნების ტრავერსისა (ქედ-ქედ გავლისა) როგორც უცხოელ, ისე საბჭოთა ალპინისტების მიერ. საბჭოთა და უცხოელმა ალპინისტებმა კიდეც გაიარეს ესა თუ ის უბანი (მაგალითად, „ბეზინგის კედელი"), მაგრამ ცენტრალური კავკასიონის უძნელესი მწვერვალებისაგან შემდგარი მთავარი მთაგრეხილი წურუნგალადან რუსთაველის პიკამდე ჯერ არავის გაუვლია. ამ საძნელო და მსოფლიო სარეკორდო ტრავერსის შესრულება წელს იკისრეს საქართველოს ალპინისტებმა. სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა ეს ტრავერსი, როგორც სარეკორდო და უფლება მისცა საქართველოს ალპინისტებს შესდგომოდნენ მის დაძლევას.

კავკასიონის მთაგრეხილის ცენტრალური ნაწილის ეს პირველი ტრავერსი საქართველოს ალპინისტებმა მიუძღვნეს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, სახელოვან სტალინელს და ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.** მისი სახელით შეუდგნენ ალპინისტები, ალპინიზმის ისტორიაში უმაგალითო ლაშქრობას და მისი სახელითვე გაიმარჯვეს კავკასიონის ქაღარა მწვერვალებთან ბრძოლაში.

გასულ 26 აგვისტოს ალპინისტების ჯგუფი — სსრკ სპორტის ოსტატის ამხ. ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, თბილისიდან მესტიაში (სვანეთში) გაემგზავრა. ამ ჯგუფში შედიოდნენ — ალექსანდრე ჯაფარიძე, მისი და ალექსანდრა ჯაფარიძე, ლევან სუჯაშვილი და არჩილ ლუდუშაური. სვანეთში მათ შეუერთდნენ სვანი ალპინისტები გოჯი ზურებიანი, ალმაცქირ კვიციანი, გაბრიელ და ბექნო ხერგიანები.

მათი მონაწილეობით მოეწყო წინასწარი სავარჯიშო ტრავერსი ლეღზირის მყინვარის რაიონში. ეს სავარჯიშო ტრავერსი მეტად ძნელი აღმოჩნდა. აქ ალპინისტები ავიდნენ 10 სხვადასხვა მწვერვალზე, რომელთა სიმაღლე 4.000 მეტრს აღემატება. აქედან ტრავერსის მონაწილეებმა გადაიარეს კავკასიონის მთავარი ქედი მწვერვალ ჯანდუკანიდან და ლეღზირ-ტაუდან 25 კილომეტრის მანძილზე.

ამ საცდელ-სავარჯიშო ტრავერსის წარმატებით დამთავრების შემდეგ ალპინისტების ჯგუფი დაბრუნდა მესტიაში.

17 სექტემბერს ტრავერსის მონაწილენი გავიდნენ სოფ. ცენასკენ (მესტიიდან 40 კილომეტრის მანძილზეა). აქ მათ ცუდი ამინდი დახვდათ, თოვდა და მთაში ქარბუქი იყო. 23 სექტემბერს ამინდს გაუმჯობესება დაეტყო და ალპინისტებმა — ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, გაბრიელ და ბექნო ხერგიანებმა, გოჯი ზურებიანმა, ლევან სუჯაშვილმა, ექიმმა შ. მიქელთაძემ და შამილ ბაბაევმა გასწიეს მწვერვალ წურუნგალასაკენ. 25 სექტემბერს დილის 11 საათზე ჯგუფმა მიაღწია წურუნგალას მწვერვალს. აქედან ალპინისტების ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. ალექსანდრე ჯაფარიძემ, გაბრიელ და ბექნო ხერგიანებმა და ლევან სუჯაშვილმა განაგრძეს ქედ-ქედ სიარული, ხოლო მეორე ნაწილი კი დაბრუნდა ცენაში, რომ შემდეგ კვლავ შეერთებოდნენ მოტრავერსეებს ნამყვამის მწვერვალთან.

წურუნგალადან ქედ-ქედ მიმავალ 4 საბჭოთა ალპინისტს უდიდესი და მეტად სახიფათო დაბრკოლებების გადალახვა მოუხდათ მთაგრეხილის გაყოლებით. განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა მთაგრეხილის ის ნაწილი, რომელიც მწვერვალ აილამასა და ნამყვამს შუაა. დიდ სიცივესა, ქარსა, ნისლსა და ქარბუქში, ალპინისტებს მოუხდათ ღამეების თევა ისეთ ადგილებზე, სადაც ჯერ არავითარი ცოცხალი არსება არ ყოფილა. გარდა იმისა, რომ მწვერვალებზე გაიშვიათებული ჰაერი სუნთქვას აბრკოლებს, ქარიც არ ასვენებს კაცს და თუ ოდნავ ვინმე წაბარბაცდა იგი უფსკრულში გადაიჩეხება. ჩვენს ალპინისტებს მოუხდათ დანისპირის მსგავს მწვერვალებზე ყინვის ამოჭრა, საძინებელი ტომრების დაბმა და მშფოთვარე ღამეების თევა.

წურუნგალას შემდეგ ალპინისტები ავიდნენ აილამას მწვერვალზე (4.500 მეტრი სიმაღლეა ზღვის დონიდან). აქვე, გზადაგზა მათ აიღეს ორი უსახელო მწვერვალი, ავიდნენ ნამყვამზე და გაჰყვნენ კავკასიონის მთავარ ქედს. 1 ოქტომბერს დაიწყეს შეტევა შხარას ქედის ასაღებად. 4 დღე მოანდომეს ალპინისტებმა შხარას მწვერვალზე ასვლას. 4 ოქტომბერს საქართველოს ალპინისტები უკვე იყვნენ კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლეს მწვერვალზე— აღმოსავლეთ შხარაზე (აღმოსავლეთი შხარა ყველაზე უმაღლესი მწვერვალია კავკასიონის მთაგრეხილისა, იალბუზის შემდეგ, ხოლო იალბუზი კავკასიონის მთაგრეხილის გვერდითაა), რომლის სიმაღლეც 5.184 მეტრს უდრის. აქედან ალპინისტები გადავიდნენ დასავლეთის შხარის მწვერვალზე (5.057 მეტრი) და ჩამოვიდნენ ძირს რუსთაველის პიკზე ასასვლელად. შხარადან ჩამოსვლა ყველაზე სახიფათო აღმოჩნდა, მაგრამ ალპინისტებმა აქაც დიდი ოსტატობა გამოიჩინეს და უვნებლად ჩამოვიდნენ.

12 ოქტომბერს ტრავერსის მონაწილენი მესტიაში დაბრუნდნენ. სულ მათ გაიარეს 80 კილომეტრი მანძილი კავკასიონის მთავარ მთაგრეხილზე. აიღეს 20 მწვერვალი, მათ შორის 10 უძნელესი და მშვიდობით დაბრუნდნენ. მათთან ჩამოიტანეს მრავალ სხვადასხვა მადნეულთა ნიმუშები, რომელიც მოაგროვეს მთავარი მთაგრეხილის კლდოვან ადგილებში.

ზოოპარკში

მაიმუნები, თუთიყუშები და ნიანგები უკვე გადაიყვანეს თბილად შეკეთებულ სადგომებში. მაიმუნების, ვეფხვებისა და ლომების გალიები ისეა მოწყობილი, რომ კარგ, თბილ ამინდში შესაძლებელი ხდება მათი საზაფხულო სადგომებში გამოშვება. 17 ოქტომბერს გამადრილის ჯიშის მაიმუნ „გერტრუდას" შვილი ეყოლა. „გერტრუდა" ძალიან მოსიყვარულე დედაა და ახალშობილს ერთი წუთითაც კი არ უშვებს ხელიდან.

ზოოპარკის მეცნიერი თანამშრომელი ქალი ე. მებუკე და უფროსი ბრიგადირი გ. ობოლაშვილი მოსკოვს გაემგზავრნენ ბეგემოტის ჩამოსაყვანად, რომლისთვისაც პარკში დროებითი სადგომი შენდება.

შიმპანზე „ბიმბო", რომელიც ენახველთა საერთო ყურადღებას იპყრობდა, ამ დღეებში დაიღუპა ოსტეომიელიტისაგან — ძვლის ძვლის ანთებისაგან. (საქდესი).

საქართველოს მთამსვლელთა დიდი გამარჯვება

საქართველოს ალპიური კლუბის მიერ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩატარებული ცენტრალური კავკასიონის ამხანაგ ბერიას სახელობის დიდი ტრავერსი საბჭოთა ალპინისტების კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას წარმოადგენს. 1940 წლის ზაფხულის ბრწყინვალე მიღწევები საბჭოთა ალპინიზმს პირველ ადგილზე გამოჰყავს მსოფლიოში.

ჩვიდმეტი დღის განმავლობაში ხუთმა შესანიშნავმა მთამსვლელმა — ალ. ჯაფარიძემ, მისმა დამ ალექსანდრა ჯაფარიძემ და სვანებმა გაბრიელ და ბექნო ხერგიანებმა და გოჯი ზურებიანმა გაიარეს უძნელესი მარშრუტი კავკასიონის უმაღლესი და უძნელესი მწვერვალების — წურუნგალას, აილამის, ნამყვამისა და შხარის წვერიწვერ.

ეს გავლა ალპინისტური მარშრუტების უძნელეს, მეხუთე კატეგორიას ეკუთვნის. ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად, რომელიც ტრავერსს წინ უძღოდა. ტრავერსის მონაწილეთა წინასწარი შერჩევის მიზნით ჩატარდა ლაშქრობა, რომელშიაც თერთმეტი კაცი იღებდა მონაწილეობას. ამ ლაშქრობისა და ძირითადი ტრავერსის დროს აღებულია 20 მწვერვალი, მათგან 10 უძნელესი კატეგორიისა.

წინასწარ ლაშქრობაში და დამხმარე ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს მოხევე მთამსვლელებმა ლევან სუჯაშვილმა და არჩილ ლუდუშაურმა და სვანმა ალპინისტმა ალმაცქირ კვიციანმა.

ტრავერსისა და ლაშქრობის შედეგად სამმა კაცმა მოიპოვა უფლება „სსრკ ალპინისტის" II საფეხურის ნიშნის ძიღებისა, ხოლო ალექსანდრა ჯაფარიძემ, გაბრიელ ხერგიანმა და ბექნო ხერგიანმა შეასრულეს ყველა ნორმები სსრ კავშირის სპორტის ოსტატის სახელწოდების მისაღებად.

ბექნო და გაბრიელ ხერგიანები პირველი სვანები იქნებიან, რომელთაც მიეკუთვნებათ სპორტის ოსტატის სახელწოდება.

ეს შესანიშნავი ტრავერსი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ საბჭოთა სპორტსმენები საბოლოოდ დაეუფლენ მსოფლიო რეკორდებს.

კ. ჯავრიშვილი

საქართველოს ალპიური კლუბის თავმჯდომარის მოადგილე.

ფეხბურთი

თბილისის „დინამოს" დამარცხება

მოსკოვი, 21 ოქტომბერი (**ტელეგრაფით ჩვენი კორ.**). „დინამოს" ორი გუნდის — მოსკოვისა და თბილისის— პირველობის ამ ორი პრეტენდენტის მატჩს მოსკოვში დიდი ინტერესით მოელოდნენ. „დინამოს" სტადიონი გუშინ 70 ათასამდე მაყურებლით გაიჭედა. ათეულათასობით მოსკოველები რადიოაპარატებთან ისმენდნენ შეჯიბრების მიმდინარეობას. საკავშირო პროფსაბჭოს რადიოსადგურმა და მოკლეტალღოვანმა გადამცემმა მოაწყეს მატჩის ტრანსლაცია სპეციალურად თბილისისათვის.

„კომუნისტის" მკითხველებმა უკვე იციან სეზონის ამ ყველაზე საინტერესო სპორტული შეხვედრის შედეგი — 2:0 მოსკოვის გუნდის სასარგებლოდ. მაგრამ ეს გამარჯვება მოსკოველებმა მოიპოვეს უაღრესად დაძაბული ბრძოლით. მინდორზე არ იგრძნობოდა რომელიმე გუნდის უპირატესობა, ძალები თანაბარი იყო. მატჩის დასაწყისიდან დამთავრებამდე გაფთრებული ბრძოლები იმართებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კართან და ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ორი ბურთი, რომლებიც გაიტანეს პირველი ტაიმის მე-15 და მე-20 წუთზე იაკუშინმა და პოლისკომ, გადამწყვეტი იქნებოდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინათ. ორჯერ მათ ამის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ. ეს იყო მაშინ, როდესაც მოსკოველების კართან მიიჭრნენ ბერეჟნოი და შემდეგ პაიჭაძე, მაგრამ ორჯერვე ბურთი შტანგას მოხვდა და აუტში წავიდა. დანარჩენ შემთხვევებში მოსკოველთა მთელი გუნდი ძნელად გასარღვევს ხდიდა თავის კარს.

ამრიგად, „დინამოს" ორივე გუნდის შანსები პირველობაში გათანაბრდა.

ხვალ თბილისელები მიდიან სტალინგრადში, სადაც შეხვდებიან „ტრაქტორს". პირველობის საკითხს უკანასკნელი მატჩები გადასწყვეტს.

ვოროშილოვის სახელობის კროსი

4.500 კაცზე მეტი მონაწილეობდა 20 ოქტომბერს კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ტრადიციულ კროსში. პირველად სტარტზე გამოვიდნენ მორბენალნი 5.000 მეტრის დისტანციაზე. სტარტი მიცემულ იქნა დილის სრულ 10 საათზე. 17 წუთისა და 04 წამის შემდეგ ფინიშზე პირველი მოვიდა სპარტაკელი ჯალალოვი, ორი წამის შემდეგ მას მოჰყვა ი. კიმი. („დინამო"). ფინიშზე მესამე მოვიდა სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის ზეინკალი ბერუაშვილი (17 წუთსა და 54 წამში).

3.000 მეტრზე ჯადარბენაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ე. ავაქოვმა („დინამო"). ეს დისტანცია მან გაირბინა 9 წუთსა და 25,8 წამში; მეორე ადგილზე აღმოჩნდა მაკაროვი (წითელი არმიის სახლი).

დინამოელმა ჯალალოვმა 5.000 მეტრზე გადარბენის შემდეგ რომ დაისვენა, 1.000 მეტრზე გადარბენაშიც მიიღო მონაწილეობა და დაიკავა პირველი ადგილი. ეს დისტანცია გაირბინა 2 წუთსა და 38,6 წამში.

კროსში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალები. მათ გაირბინეს 1.000 და 500 მეტრზე. ორივე დისტანციაზე გამარჯვება მოიპოვა დინამოელმა მაკუშინამ. მაყურებელნი გულთბილად ხვდებოდნენ კროსში გამარჯვებულთ.

3 გ.

ლექციები და მოხსენებები

22 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში ქ. თბილისის ექიმთათვის, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ ლენინის წიგნზე „რა ვაკეთოთ?", ქართულ ენაზე შესდგება ამხ. **ვ. იმედაშვილის** ლექცია თემაზე: **„ვ. ი. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?"**.

28 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. 30 წ., ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში ორჯონიკიძის სახელობის რაიონის აგიტატორთათვის ქართულ ენაზე შესდგება ამხ. **სანიკიძის** ლექცია თემაზე: **„ბალტიისპირა ქვეყნების ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა"**.

28 ოქტომბერს სანკულტურის სახლში შესდგება პროფ. **უზნაძის** ლექცია **„ფსიქოლოგიური საფუძვლები ბავშვთა ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდაში"**. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

28 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის სამეცნიერო-პედაგოგიური სექციის საჯარო კრებაზე (კეცხოველის ქ. № 11), წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები:

1) პროფ. **გ. ნ. გეხტმანი — „არის თუ არა კიდევ მსოფლიო რუკაზე თეთრი ლაქები"**. (რუსულ ენაზე);
2) მასწ. **ნ. მირიანაშვილი — „107 საშუალო სკოლის გეოგრაფიული წრის მუშაობა"**. (ქართულ ენაზე).

დასწრება თავისუფალია.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3070735, გაცემულ იხაიბ უდაევ მახმად **ჰათოევის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3072833, გაცემული პავლე ვასილის-ძე **ფეტვიაშვილის** სახელზე, პარტბილეთი № 2863221, გაცემული გიორგი ვასილის-ძე **ტერტერაშვილის** სახელზე, პარტბილეთი № 1548624, გაცემული სოფიო სოლომონის-ასულ **სარაულის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **საოპერა** — „ტრავიატა" (მე-5 აბ. 1 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — „ბოგდან ხმელნიცკი", **მარჯანიშვილის სახელობის** — „გიორგი სააკაძე", **სანკულტურის ქართული თეატრი** — „სინანული", **გრიბოედოვის სახელობის** — „დედინაცვალი" (პრემიერა აბონ. გარეშე), **სომხური დრამა** — „კინტო" (მე-4 აბ. მე-3 წარმ.).

კინოებში: **რუსთაველის** სახ. — „ახალი დროება", **დღისით** — „საუცხოო ხომალდი", **ოქტომბერი** — „უმზითვო პატარძალი", **დამკვრელი** — „გრუნია კორნაკოვა", **დღისით** — „მინინი და პოჟარსკი", **კომკავშირელი** — „ცამეტნი", **ლუქსემბურგის** სახ. — „ვოლგა-ვოლგა", **სპარტაკი** — „ზელიმხან", **26 კომ.** სახ. — „უმაღლესი ჯილდო", **კომინტერნი** — „ორი ჯავშნოსანი", **განთიადი** — „გამანადგურებლები", **წითელი არმიის სახლი**—„ყოველდღიურობა", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „პარტიული ბილეთი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „მიგდებული ბავშვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
22 ოქტომბერს მე-5 აბ 1 წარმ
ტრავიატა
24 ოქტომბერს მე-3 აბ 1 წარმ
დაისი
25 ოქტომბერს მე-7 აბ. 1 წარმ.
კიკოს ქალი
დასაწყისი 8 ს. 30 წ

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
22 ოქტომბერს
ბოგდან ხმელნიცკი
23 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
24 ოქტომბერს
ბრაუნის ქვრივი
დასაწყისი 8 ს. 30 წ

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.
22 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე
23 ოქტომბერს
მადამ სან-ჟენ
24 ოქტომბერს
ანრი სეარ
დასაწყისი 8 ს. 30 წ

მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური ტრესტის „საქმომარაგების" დასკვნითი ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის (მანეთებში)

№№ რიგ.	აქტივი — მუხლების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	პასივი — მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	487.983	1	საწესდებო ფონდი	2.029.147
2	მასალათა მარაგი და სათბობი	631.079	2	საამორტიზაციო ფონდი	47.417
3	დაუმთავრებელი წარმოება	278.869	3	წამოწყების დირექტორის ფონდი	3.843
4	მზა ნაწარმი და საქონელი	2.149.476	4	სხვა ფონდები	1.657
5	გაგზავნილი საქონელი	285.729	5	რეზერვები	78.286
6	ფულადი საშუალებანი	716.992	6	მომწესრიგებელი მუხლები	115.644
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	580.397	7	საბიუჯეტო დაფინანსება	311.900
8	მომავალი დროის ხარჯები	8.718	8	მოკლევადიანი სესხები	633.502
9	მშენებლობის დაფინანსება	7.002	9	ანგარიშსწორებანი	1.707.857
10	განყენებული საშუალებანი	30.000	10	საანგარიშო წლის მოგება	246.992
	ბალანსი	5.176.245		ბალანსი	5.176.245

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში

№	ზარალი	თანხა	№	მოგება	თანხა
1	სადებიტორო დავალიანების ჩამოწერა	28.119	1	საქონლის რეალიზაციით	296.940
2	ანარიცხები სადავო ვალების რეზერვში	45.154	2	შემოსავალი ადრე ჩამოწერილი სადებიტორო დავალიანებით	350
3	სხვაობა თვითღირებულებას და გასაშვებ ფასებს შორის	669	3	ხანდაზმულობა გასული საკრედიტორო დავალიანების ჩამოწერით	17.059
4	საანგარიშო წელს გამოვლინებული წარსული წლების ზარალი	6.118	4	გამოუყენებელი რეზერვები	10.150
5	ავტოტრანსპორტის ზარალი	18.431	5	საანგარიშო წელს გამოვლინებული წარსული წლების მოგება	1.399
6	სხვადასხვა ზარალი	4.854	6	სხვადასხვა შემოსავალი	24.438
	სულ	103.345			
	წმინდა მოგება	246.991			
	ბალანსი	350.336		ბალანსი	350.336

ტრესტის მმართველი **ვ. ი. მარგველაშვილი.** მთავარი ბუხჰალტერი **ი. მ. მესხი.**

დასკვნითი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საბალანსო კომისიის მიერ 1940 წ. 4 მაისს ოქმი № 2.

634 საქ. კომუნ მეურნეობის სახ კომისარიატის მთ. ბუხჰალტერი **შ. ოქრუაშვილი**

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი
აგურის ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთ.) (ძირითადი საქმიანობისა)

№	აქტივი	თანხა	№	პასივი	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	1519	1	საწესდებო ფონდი	1637
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	135	2	სხვა ფონდები და რეზერვები	148
3	ფულადი სახსრები	92	3	გრძელვადიანი სესხები	22
4	ანგარიშსწორებანი	37	4	ანგარიშსწორებანი	61
5	მომავალი პერიოდის ხარჯები	147	5	მომავალი საანგარიშო პერიოდის შემოსავალი	1
6	განყენებული საშუალებანი	203	6	1939 წლის მოგება	264
	ბალანსი	2133		ბალანსი	2133

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

№	ზარალი	თანხა	№	მოგება	თანხა
1	სხვადასხვა ზარალი	8	1	მოგება რეალიზაციით	272
2	მოგების სალდო	264			
	ბალანსი	272		ბალანსი	272

დირექტორი **გაჩილავა.** მთავ. ბუხჰალტერი **ლუკავა.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწვ სახ კომისარიატის მიერ (1940 წ. 4 აპრილის დადგენილება № 30)

1114 საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ. კომ. ცენტრ. ბუხჰალტერიის უფროსი **ვოსკრესენსკი.**

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი
თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის ბალანსი 1940 წლის 1 იანვრისათვის (ათას მან.)

აქტივი	თანხა	პასივი	თანხა
1. ძირითადი საშუალებანი	102	1 საწესდებო ფონდი	1011
2. მასალები, ნედლეული და სათბობი	784	2. სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	4
3. დაუმთავრებელი წარმოება	125	3. ანგარიშსწორებანი	178
4. მზა ნაწარმი და საქონელი	2	4. მოგება 1939 წლის	238
5 ფულადი სახსრები	93		
6. ანგარიშსწორებანი	209		
7. მომავალი პერიოდის ხარჯები	25		
8. განყენებული საშუალებანი	91		
ბალანსი	1431	ბალანსი	1431

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

ზარალი	თანხა	მოგება	თანხა
1. სხვადასხვა ზარალი	54	1. მოგება რეალიზაციით	286
2. მოგების სალდო	238	2. სხვა დაგროვებანი	6
ბალანსი	292	ბალანსი	292

დირექტორი **მ. ზ. ფალავანდიშვილი.** მთ. ბუხჰალტერი **პ. ი. კიურკჩიანი.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგ მრეწვ. სახ. კომისარიატის მიერ (დადგენილების ოქმი № 10) 1940 წ 17 თებერვალს.

1115 საქ სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატის ცენტრ. ბუხჰალტერიის უფროსი **ვოსკრესენსკი.**

ექიმი **მძინარიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
სქესობრივი სისუსტე (ელექტრონით მკურნალობა) ვენერიული და კანის ავადმყოფობა. ავადმყოფების მიღება დილით და საღამოთი, 8-დან 10 საათამდე. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57. მე-4 შესავალი, მე-2 სართული 6964

ცოლი ნინო, შვილები შოთა, რუსუდან, გოგია, ლავრენტი კოპაძე ცოლით სონათი, შვილით ალექსანდრათი, შვილიშვილებით მედიკო, ჯუმბერ ლორთქიფანიძეებით იუწყებიან
მელიტონ კოპაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში 22/X. 8471

ქმარი გიორგი ჯალაღანია, შვილი თამარ ქმრით გიგუცა ბეჟუაშვილით და შვილებით, ბაბულია ჯალაღანია იუწყებიან
ნინო თეიმურაზის-ასულ ჯალაღანიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/X 7½ ს. გამოსვენება 24/X 5½ ს. ვაშლოვანის, 4. 8469

სუსანა, ნიკო ცოლით თამარით, სერგო ცოლით ბაბუცათი, აკაკი, მიშა ჯანაშიები იუწყებიან
ივანე ბეჟუკას-ძე წულაძის
გარდაცვალებას. 8476

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის მომუშავენი იუწყებიან ამავე ფაკულტეტის დეკანის პარმენ ხელაძის მამის
სილიბისტრო ხელაძის
გარდაცვალებას. 8477

დედა თეოლინე, მაზლები აპოლონ ისაკი, ვარლამ, რძლები თინა, ნინო, მული ტატიანა მარგალიტაძეები იუწყებიან
ეკატერინე მარგალიტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/X 6 ს. შაუმიანის, 82. 8478

ვალია და ვალოდია ფხაკაძეები იუწყებიან დედის
ეკატერინე კონსტანტინეს-ასულ მარგალიტაძის
გარდაცვალებას. 8480

მშობლები ვალიკო, მანანა რუსიები, ბიძები მიშა, ვასო ცოლშვილით, დეიდა ნატაშა, მამიდა თამარ ქმრებით, ბაბუა ნიკოლოზ იუწყებიან
ზურიკოს (ზურაბ)
გარდაცვალებას. დაკრძალვა სურამში 22/X. 8472

ტრესტ „ინემშენის" საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ საშა ნადირაძის შვილის პატარა
რეზიკოს
გარდაცვალებას. 8474

ცოლისდა ნადია, ქვისლი ილიკო გამცემლიძეები შვილებით: ტასო თინა, ნიკა ცოლშვილით იუწყებიან
სიმონ ბარამის-ძე კურცხალიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/X ს. ორგვეთში (საჩხერის რ.). 8475

შვილები აბიბო, გრიშა, ვასო ცოლშვილით, ქეთო ქმარშვილით, ძმისწული ვლადიმერ იუწყებიან
ივდითი კაპანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 22/X 8 ს. გამოსვენება 23/X 6 ს. ლოტკინის, 7, კუკიის სასაფლაოზე. 8470

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის 3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84 სასოფლო სამეურნეოს 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 2002